ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 17 მაისი, 2016 №115 (7041) ფასი: 50 თეთრი

## ნაციონალებმა სიის პირველი ათეული წარადგინეს

გოგა ხაჩიძე და პავლე კუბლაშვილი „გირჩებიდან" მიდიან?



გვ.3

17 მაისიდან

გი დე მოპასანი

ლამაზი მეგობარი

ოქროს ბიბლიოთეკა ტომი 3

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი



# ირაკლი ალასანია: „ჩვენი პარტია საგანგებო რეჟიმზე გადადის"



გვ.2

„ვინატრე, ამ უდანაშაულო ადამიანების ადგილზე მე ვყოფილიყავი"

## სასამართლო: „ბრალდებულებმა გაფლანგეს 4.102.872.6 ლარი"



გვ.2

## „კაბელების საქმეზე მოსამართლემ პოლიტიკური გადაწყვეტილება გამოიტანა"



გვ.3

„განაჩენს ლევან მურუსიძესთან გავასაჩივრებთ"



გვ.2

## საია: „კაბელების საქმის გადაწყვეტილება უკანონო, უსამართლო და დაუსაბუთებელია"

## ანზორ აბრალავა: „პოლიტიკური ველი ცარიელია"



გვ.4

„სანამ რესპუბლიკური პარტია ვინმეს რუსეთუმეობაზე ახმაურდება, მანამდე, ჯობია, საკუთარი მძიმე წარსული გაიხსენოს"



გვ.4

## მურმან დუმბაძე: „ივანიშვილს ბურჟუაზიის ჩაძირვა გაუჭირდება"



„ჩერნოვეცკი პოლიტიკიდან ბიზნესპროექტის სანაცვლოდ წავიდა"

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა

## ქართული იდეა



გვ.5

ISSN 1987-9385

## აფხაზებმა მსოფლიო პატრიარქისგან აღიარება კიდევ ერთხელ ითხოვეს



გვ.7

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ირაკლი ალასანია: „ჩვენი პარტია საგანგებო რეჟიმზე გადადის“

## „ვინატრე, ამ უდანაშაულო ადამიანების ადგილზე მე ვყოფილიყავი“

ნათია ხურცილავა

ირაკლი ალასანიამ საპროტესტო აქციები გუშინ, 16 მაისს, პარტიის საგანგებო პრესკონფერენციაზე დააანონსა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ამ გადაწყვეტილებას წინ საქალაქო სასამართლოში განვითარებული მოვლენები უძღოდა.

კაბელების საქმეზე მოსამართლე ბუგიანიშვილმა განაჩენი გამოაცხადა. თავდაცვის სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსნებს 7-7 წლით პატიმრობა შეეფარდათ.

მოსამართლის ამ გადაწყვეტილებამ თავისუფალი დემოკრატების დღის წესრიგი შეცვალა.

21 მაისს, შაბათს, თავისუფალი დემოკრატები საპროტესტო აქციას პროკურატურასთან გამართავენ და ამ აქციას გამაფრთხილებელი ხასიათი ექნება.

**ირაკლი ალასანია:**

– დღეს ყველა ჩვენგანს უმძიმესი დღე გვქონდა. ერთადერთი, რაც ვინატრე, იყო ის, რომ იმ უდანაშაულო ადამიანების ადგილზე მე ვყოფილიყავი, მე დავეკავებინეთ. 5 უდანაშაულო ადამიანი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და თითოეულს 7 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ივანიშვილმა მოსამართლე ბუგიანიშვილის ხელით 35 წელი მიუსაჯა უდანაშაულობას, სამშობლოსთვის პატიოსან სამსახურს.

ალასანიას თქმით, უსამართლობა და ცინიზმი ისევ ბოგინობს ჩვენს ქვეყანაში. შეიცვალა მხოლოდ სისტემის მთავარი არქიტექტორი და ის ახლა ბიძინა ივანიშვილია.

– ვიდრე პროკურატურის და სასამართლოს პოლიტიკურ ინსტრუმენტებად გამოყენების მანკიერ წრეს არ გავწყვეტთ, ჩვენ უსამართლობის მსხვერპლნი ვიქნებით. მოსამართლე ბუგიანიშვილმა დამნაშავედ ცნო ადამიანები, რომლებსაც არ ჰქონდათ ჩადენილი დანაშაული, არ გააჩნდათ მოტივი, ადამიანები, რომლებმაც სახელმწიფოსთვის ყველაზე მომგებიანი და ხარისხობრივად უნაკლო კონტრაქტი გააფორმეს. ეს ადამიანები არ განკარგავდნენ იმ თანხას, რომელთა გაფლანგვაშიც მათ ბრალს სდებენ, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მისი თქმით, დღეს ქვეყანაში ძალოვან უწყებებს თანდათან ივანიშვილი დაეპატრონა და ის ფლობს მართვის ყველა ბერკეტს.

– ქვეყნის მთავარი ინსტიტუციები ჩაბარდა ივანიშვილის სურვილის უსიტყვო შემსრულებლებს. პროკურატურას მართავს შოთაძე, სასამართლოს კი – მურუსიძე, ხოლო მისი პარტიაში ერთი კაციც კი არ არის, ვინც ამ ყველაფერს შეეწინააღმდეგება, – აღნიშნა თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა.



მან პირობა დადო, რომ დაპატიმრებულთა გასათავისუფლებლად ყველაფერს გააკეთებს.

– ჩვენ არ მივატოვებთ უდანაშაულო ადამიანებს, მათ ოჯახებს. ჩვენ კონსტიტუციური ნორმების სრული დაცვით და კანონიერი გზით, მათ შორის აქციებით, ვიბრძოლებთ სამართლიანობის აღდგენისთვის, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მან თქვა, რომ პარტიას ექნება შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დიპლომატიურ კორპუსთან.

– მივაწვდით ამ ბოროტმოქმედების შესახებ ინფორმაციას ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასა და ყველა მეგობარი ქვეყნის დედაქალაქებს, აღნიშნა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა.

მისი თქმით, პარტია საგანგებო მოქმედების რეჟიმზე გადადის.

– მაგრამ ჩვენ არ გადავუხვევთ არჩევნების გზას და სწორედ ოქტომბრის არჩევნებზე ქართველ ხალხთან ერთად შევცვლით არაფორმალური მმართველის მორჩილ ხელისუფლებას, – დააზუსტა ირაკლი ალასანიამ.

მან განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილმა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით საარჩევნო კამპანიის დაწყება მოგვილოცა.

**ირაკლი ალასანია:**

– მან უნდა იცოდეს, რომ ჩვენ არ გავჩერდებით. ჩვენთვის მთავარია ღირსება და ღირსეულ ადამიანებს გაჭირვებაში არ მივატოვებთ, ჩვენ მათ გვერდში ვიქნებით და გამოვიხსნით ბიძინა ივანიშვილის ტყვეობიდან.

ალასანიამ ხაზი გაუსვა, რომ ეს არის პოლიტიკური დაკვეთა და მზარდი ტენდენცია იმისა, რომ ჩამოყალიბდეს ავტორიტარული რეჟიმი.

– დღეს ბიძინა ივანიშვილის გავლენის ქვეშ არის მთავარი სახელისუფლებო ბერკეტები. მე იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტი, როგორც ამ ქვეყნის მთავარსარდალი, ინფორმირებული იქნება სამხედრო პირების წინა-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# სასამართლო: „ბრალდებულებმა გაფლანგეს 4.102.872.6 ლარი“



გუშინ, 16 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ კაბელების საქმეზე გამოტანილ განაჩენთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

როგორც სასამართლოს განცხადებაშია ნათქვამი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ დამნაშავედ ცნო თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები ა.ა., გ.ლ., ნ.კ., გ.ღ., დ.წ. და მათ მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა.

– სასჯელის სახედ და ზომად ბრალდებულებს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ. მათვე 2 წლის ვადით ჩამოერთვათ საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება.

ბრალდებულებს ბრალად ედებოდათ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული, დიდი ოდენობით, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა, – ნათქვამია განცხადებაში.

საქმის მასალების თანახმად, ბრალდებულებმა თავდაცვის სამინისტროს სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად განიზრახეს სს „სილქნეტის“ სასარგებლოდ, სახელმწიფოს ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვა.

დანაშაულებრივი განზრახვის დაფარვის მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის დებულების მოთხოვნათა უგულებელყოფით, გადაწყვიტეს ფიქტიურად მოეხდინათ ბაზრის კვლევა, მიმწოდებლის მოძიება, შესაძენი ქონების, საქონლის, მომსახურების პირობებისა და ღირებულების დადგენა.

ამ მიზნით, ნ.კ-მ და დ.წ.-მ აცნობეს გ.ღ-ს, რომ საჭირო იყო დ.წ.-ს მიერ მომზადებული ტექნიკური პირობების მიხედვით თბილისი-კოჯორი-წალკა-ახალქალაქი-ახალციხე-ხულობათუმის მიმართულებით ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მიყვანა, ქსელური აპარატურის შეძენა და მონტაჟი.

თავის მხრივ, ამ უკანასკნელმა საქართველოში მოქმედ 9 კომპანიას გაუგზავნა იდენტური მოთხოვნები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებში ტექნიკური პირობების მიხედვით ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის მიყვანისა და ქსელური აპარატურის შეძენისა და მონტაჟის შესახებ და განუსაზღვრა ვადა წინადადებების წარმოსადგენად.

– დათქმულ დროს კომპანიებმა: შპს „სპეცკავშირმშენმა“, შპს „დელტა კომმა“, შპს „ოპტიკ ლაინმა“ და ს.ს. „სილქნეტმა“ მოახერხეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის აგების შესახებ წინადადებების წარდგენა. აღნიშნული კომპანიებიდან მხოლოდ შპს „სპეცკავშირმშენმა“ და შპს „ოპტიკ ლაინმა“ შეძლეს შედარებით დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვის წარდგენა, რადგან აღნიშნული მიმართულებებით მათ წინასწარ ჰქონდათ მოკვლევა ჩატარებული, ხოლო დანარჩენმა ორმა კომპანიამ, მოთხოვნის მიუხედავად, მიუთითა მხოლოდ ზოგადი ხარჯთაღრიცხვა, – ნათქვამია განცხადებაში.

სასამართლოს თქმით, 2013 წლის 5 სექტემბერს, ბრალდებულებისა და თავდაცვის სამინისტროს სხვა თანამშრომლების მონაწილეობით, 17:00 საათზე, თავდაცვის სამინისტროში სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილე პრეტენდენტებთან ერთად გამოცხადდა მხოლოდ შემოთავაზებული ფასები, იმავე თარიღით შედგა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაგისტრალური ოპტიკური ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის და აპარატურული უზრუნველყოფის შემოთავაზების გახსნის ოქმი, რომლის მიხედვითაც თითქოს წინადადებები გაიხსნა ტრანსპარანტული წესების დაცვით და გადაიხედა წარმომადგენლების თანდასწრებით. რეალურად კი წინადადებები უკვე გახსნილი იყო და პრეტენდენტებს, მიუხედავად მათი მოთხოვნისა, არ გააცნეს ერთმანეთის შეთავაზებები.

– სს „სილქნეტმა“ სხვა კომპანიებთან შედარებით დაბალი ფასი დააფიქსირა, რადგან მის მიერ შეთავაზებული წინადადებები არ შეესაბამებოდა თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნას. შპს „დელტაკომს“ თავდაცვის სამინისტროს მიერ მოთხოვნილი მიმართულებების დიდ ნაწილზე უკვე გააჩნდა თავისუფალი გამოუყენებელი წვერები და დარჩენილი ნაწილის მშენებლობასაც ასრულებდა თავისი ხარჯებით, რომელიც სახელმწიფო ორგანიზაციებს მიზერულ ფასად, ხშირ შემთხვევაში უფასოდაც კი აწვდიდა ქონებას. ამასთანავე, ნ.კ.-სთვის ცნობილი იყო, რომ შპს „სპეცკავშირმშენიც“ უსასყიდლოდ სთავაზობდა სამინისტროს საჭირო წვერებს, – ნათქვამია განცხადებაში.

მიუხედავად ამისა, ბრალდებულებმა ა. ა-მ, გ.ზ.-მ და გ.ლ.-მ შეადგინეს მოხსენებითი ბარათი და თავდაცვის მინისტრის მოადგილისგან ითხოვეს ნებართვა, თითქოსდა გამარჯვებულ კომპანია სს „სილქნეტთან“ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

შედეგად, გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც თავდაცვის სამინისტრომ სს „სილქნეტს“ ჯამში უნდა გადაუხადოს 6.720.877.42 ლარი და სანაცვლოდ მიიღოს მხოლოდ 2.618.004.82 ლარის ღირებულების ქონება/საქონელი/მომსახურება.

– აღნიშნული ქმედებით ბრალდებულებმა და თავდაცვის სამინისტროს სხვა ხელმძღვანელმა პირებმა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, გაფლანგეს მათ მართლზომიერ მფლობელობაში არსებული, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4.102.872.6 ლარი, – ნათქვამია განცხადებაში.

* * *

საქმის არსებითად განხილვისას ბრალდებულებმა თავი არ ცნეს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში, თუმცა საქმეში წარმოდგენილი და სასამართლო სხდომებზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია წინასწარი შეთანხმებითა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის ფაქტი და ბრალდებულების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა.

– მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე გაიმართა 50 სასამართლო პროცესი. დაიკითხა ბრალდების 67 და დაცვის 10 მოწმე, ასევე, თავად ბრალდებულები, – ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

# საია: „კაბელების საქმის გადაწყვეტილება უკანონო, უსამართლო და დაუსაბუთებელია“

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასებით, კაბელების საქმეზე სასამართლომ უკანონო, უსამართლო და დაუსაბუთებელი განაჩენი გამოიტანა.




საია მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილის მიერ თავდაცვის სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსნებთან დაკავშირებით გუშინ მიღებულ გადაწყვეტილებას განცხადებით ეხმაურება, რომელშიც მიიჩნევს, რომ კაბელების საქმეზე დაკავებული პირები უდანაშაულოები არიან.

ორგანიზაციის აზრით, ბრალდების დაუსაბუთებლობას ადასტურებს საქმის არსებითი განხილვის დროს ბრალდებულების და არაერთი მოწმისა და ექსპერტის მიერ მიცემული ჩვენება, ასევე წერილობითი მტკიცებულება.

– საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება დანაშაულის შემადგენელი უმნიშვნელოვანესი ელემენტის, მოტივის არსებობა.

კერძოდ, არსებული მტკიცებულებებით არ დადასტურდა ბრალდებულ პირთა მხრიდან ანგარებითი მიზნის არსებობა, რის გარეშეც არ არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მათ მართლზომიერ მფლობელობაში არსებული, დიდი ოდენობით, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა) შემადგენლობა, – ნათქვამია საიას განცხადებაში.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბრალდების მხარის მიერ გაფლანგულად შერაცხული თანხა არასოდეს ყოფილა ბრალდებულ პირთა მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში.

ამასთან, საფუძველს არის მოკლებული ბრალდების პოზიცია იმის შესახებ, რომ არსებობდა წინასწარ შეთანხმებული ჯგუფი ბრალდებულთა და თავდაცვის სამინისტროს სხვა ხელმძღვანელ პირთა მონაწილეობით, რომლებმაც თითქოს გადაწყვიტეს სახელმწიფოს კუთვნილი ფულადი თანხის მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგვა.

– მნიშვნელოვანია, რომ ბრალდების მხარემ საერთოდ ვერ დაასაბუთა, რომ სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან არსებობდა განზრახვა, რომ ვინმეს სასიკეთოდ გაეფლანგათ სახელმწიფო ბიუჯეტის თანხა, – ფიქრობენ საიაში.

ორგანიზაციის აზრით, ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა უტყუარი, ურთიერთშეთანხმებული და გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც საქართველოს კანონმდებლობით წარმოადგენს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის აუცილებელ წინაპირობას.

– ნიშანდობლივია ისიც, რომ მოსამართლეს განაჩენის გამოსატანად მხოლოდ ორი არასამუშაო დღე დასჭირდა საქმეზე, მაშინ როცა, პროცესი 18 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, დაიკითხა ათეულობით მოწმე, გამოკვლეულ იქნა ათეულობით წერილობითი მტკიცებულება, ამასთან აღნიშნული საქმე პრობლემური იყო სამართლებრივი თვალსაზრისითაც, რადგან ბრალდების ნაწილში არ იყო დასაბუთებული ბრალის სუბიექტი, სუბიექტური მხარე და მოტივი, – ნათქვამია განცხადებაში.

საია თვლის, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები ამყარებს საზოგადოებაში აქამდე არაერთხელ გამოთქმულ ეჭვს იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ საქმეში არ არსებობს სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები, საქმე კი პოლიტიკურად მოტივირებულია.

საია იმედოვნებს, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს ეყოფა გამბედაობა და საქმის განხილვისას იმსჯელებს მხოლოდ სამართლებრივად და გამოიტანს ერთადერთ სამართლიან განაჩენს და უდანაშაულო პირებს გაამართლებს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კაბელების საქმეზე მოსამართლემ პოლიტიკური გადაწყვეტილება გამოიტანა“

ნონა ცაბაძე

## „განაჩენს ლევან მურუსიძესთან გავასაჩივრებთ“

კაბელების საქმე საზოგადოების ყურადღების ცენტრში კიდევ ერთხელ მოექცა. გუშინ, 16 მაისს, აღნიშნული საქმის სასამართლო პროცესი გაიმართა და საქმეზე დაკავებული ხუთივე პირი, რომელიც გირაოს სანაცვლოდ იყო გათავისუფლებული, მოსამართლის მიერ განაჩენის გამოცხადების შემდეგ, სასამართლო დარბაზშივე დააპატიმრეს.

კაბელების საქმეზე ბრალდებულ ხუთივე პირს 7-7 წლიანი პატიმრობა შეეფარდა. განაჩენის გამოცხადებას დარბაზში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა, რის შემდეგაც მოსამართლე იძულებული გახდა, სხდომა დაეხურა.

კაბელების საქმეზე დაკავებულ ხუთივე პირს, გამოძიება სახელმწიფოს კუთვნილი 4.102.000 ლარის გაფლანგვას ედავებოდა.

– მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილის გადაწყვეტილება აუცილებლად გასაჩივრდება, – განაცხადა კაბელების საქმის ადვოკატმა **ლევან სამუშიამ**, რომელმაც „ახალი თაობის“ კითხვებს უპასუხა.

***– ლევან, რამდენად ელოდით მსგავს გადაწყვეტილებას?***

– ჩვენ ამ გადაწყვეტილებას არ ველოდით, ვინაიდან საერთოდ სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა ამ გადაწყვეტილების გამოტანის. მასმედიის საშუალებით გვქონდა იმის მოლოდინი, რომ თითქოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებდა სასამართლო და მართლაც ასე მოხდა ყველაფერი.

***– ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა?***

– დიახ, მოსამართლემ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება. სიმართლე გითხრათ, მე მეცოდება მოსამართლე. უბრალოდ, საცოდავია ადამიანი, რომელიც ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს! ადამიანმა დაკარგა სახე და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ხუთი უდანაშაულო ადამიანი გაუშვა სა-



პატიმროში! დასაბუთება ამ განაჩენის გამორიცხულია! ვერავინ დაასაბუთებს ამას.

***– ანუ მოსამართლეს არაფერი ხელჩასაჭიდი არ ჰქონდა მათ გასამტყუნებლად?***

– ხელჩასაჭიდი კი არა, საერთოდ არ არსებობს საქმე! უბრალოდ, მოსამართლემ ბრძანება შეასრულა. მოსამართლე თუ დაწერს, რომ მიბრძანეს და გავაკეთეო, თორემ სხვა ამ შემთხვევაში, სამართლებრივად თუ ვიმსჯელებთ, საქმე არ არსებობს. მიღებულია პოლიტიკური განაჩენი, მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილება!

***– მაშინ მითია საუბარი იმაზე, რომ დღეს სასამართლო თავისუფალია, რომ ის პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლდა?***

– როგორ გგონიათ, დღეს სასამართლო თავისუფალია?! მოდით, გადავავლოთ თვალი, რა ხდება თუნდაც საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ, რა ხდება ზოგადად სასამართლო სისტემაში და ამის შემდეგ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ყველაფერზე.

თურმე ბატონი მურუსიძე ყოფილა მსხვერპლი, თურმე ბატონ მურუსიძეს ვაბარებთ სასამართლო სისტემას და აქედან დაიწყო ყველაფერი! სასამართლოს დამოუკიდებლობაზე საუბარი, ამის მოლოდინი თეორიულადაც კი მოკვდა! სასამართლო არის ნოტარიუსი, თუმცა მათ შეურაცხყოფას ნამდვილად არ ვაყენებ, ნოტარიუსები დოკუმენტებს ამოწმებენ და ისე აკეთებენ თავიანთ საქმეს. მოსამართლე ბუგიანიშვილს კი რაც უბრძანეს, ის გააკეთა.

***– პოლიტიკურ დაკვეთაზე საუბრობთ და რა არის მოტივი, პოლიტიკური ანგარიშსწორება?***

– აქამდე სამართლებრივი შეფასება გავაკეთე, რაც შეეხება მოტივებს, რასაკვირველია, მოტივი არის პოლიტიკური. ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება! ისეთი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც ბოლშევიკების დროს და წინა ხელისუფლების დროს გამოდიოდა.

***– რას აპირებთ, გაასაჩივრებთ გადაწყვეტილებას?***

– ბუნებრივია, გასაჩივრდება. ბესიკ ბუგიანიშვილის გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ ლევან მურუსიძესთან, სააპელაციოში.

***– კი მაგრამ...***

– ჩვენ ყველა შესაძლებლობას გამოვიყენებთ. ვიბრძოლებთ სამართლებრივად ბოლომდე და დარწმუნებულები ვართ, რომ ეს საქმე ბევრისთვის, ვინც ამ საქმეში მიიღო მონაწილეობა, იქნება ცუდი შედეგის მომტანი. 14 წელია, ადვოკატურაში ვარ და მსგავსი უსამართლობა, მსგავსი დაუსაბუთებელი საქმე არ მინახავს. ნებისმიერი იურისტისთვის ეს ასეა. პოლიტიკურად როგორ არის, ვერ გეტყვით.

* * *

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთ ლიდერს, ზურაბ აბაშიძესაც ესაუბრა.

***– ბატონო ზურაბ, რამდენად ელოდით სასამართლოს მხრიდან ასეთ გადაწყვეტილებას? რისი თქმა შეგიძლიათ აღნიშნულ საქმეზე?***

– ეს არის ძალიან დიდი შავი



ლაქა მართლმსაჯულების უახლოეს ისტორიაში. წინა ხელისუფლების მემკვიდრეობას წარმატებით ახორციელებს დღევანდელი ხელისუფლება, როდესაც უდანაშაულო ადამიანები ჩასვა ციხეში. ეს არის მიუღებელი! ეს არის წარმოუდგენელი რამ და მე დარწმუნებული ვარ, რომ არავის ასეთი რაღაცა არ ეპატიება. დაწყებული მოსამართლე ბუგიანიშვილიდან, დამთავრებული მურუსიძეთი, შოთაძეთი და იმ ადამიანებით, რომლებიც ასეთ გადაწყვეტილებებს იღებენ ამ ქვეყანაში!

მივმართავ ამ ქვეყნის პრემიერმინისტრს, ბატონ კვირიკაშვილს, არაფორმალურ ლიდერს – ივანიშვილს, ეს არის პირდაპირი დავალება.

***– ვისი მხრიდან?***

– ვის ინტერესშიც ეს შედიოდა, იმის მხრიდან. თავიდანვე, როდესაც ეს ადამიანები დააპატიმრეს, სწორედ ეს იყო მოტივი და ჩვენ წავედით ოპოზიციაში. საზოგადოებას კარგად ახსოვს, როგორ მიმდინარეობა სასამართლო პროცესების განხილვა. იყო სრული აბსურდი! ამ ადამიანებს დანაშაული არ ჩაუდენიათ. დღეს კიდევ ამ სასამართლომ, მოსამართლე ბუგიანიშვილმა, ეს ყველაფერი გაამართლა თავისი ამ საქციელით და თქვა, რომ იღებს პოლიტიკურ დავალებებს და რასაც ეუბნებიან, იმას აკეთებს.

***– ანუ ხელჩასაჭიდი არაფერი ჰქონდა სასამართლოს და ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება?***

– რა თქმა უნდა! ამის უკან არაფერი სხვა არ დგას! ეს არის მიმართული თავისუფალი დემოკრატების, ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ! ეს თავიდანვე ასე იყო. ჩვენ ამაში ეჭვი არ შეგვპარვია ერთი წამითაც. ეს ყველაფერი ამის გაგრძელებაა.

უბრალოდ, როგორ ფიქრობს ეს ხელისუფლება, რა უნდა, აქედან რომ მიიღოს, მე ვფიქრობ, რომ ძალიან მძიმე შედეგებს მიიღებს! დარწმუნებული ვარ, რომ ოქტომბრის არჩევნებზე აბსოლუტურად სხვა რეალობა გვექნება!

დღევანდელი გადაწყვეტილება ბატონი ბუგიანიშვილის არის თვალსაჩინო მაგალითი იმისა, რომ სასამართლო არ არის თავისუფალი ჩვენს ქვეყანაში! ეს არის ტყუილი, ეს არის ფარსი!

***– თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს იყო ბიძინა ივანიშვილის შეკვეთა?***

– მე ძალიან კარგად მახსოვს ერთი რამ, რომ ბატონი ბიძინა უშუალოდ იყო ამ საქმეში ჩართული. როდესაც ჩვენ წამოვედით ოპოზიციაში, როდესაც გამოვედით და ვთქვით, რომ არ ღირს ამათთან ყოფნა, ზუსტად მაშინ ბატონმა ბიძინამ წაგვიკითხა ჩვენ ის განაჩენი და ის გადაწყვეტილება, რომ ასე და ასეა საქმე, ჩადენილი აქვთ დანაშაული და ამავდროულად ეს დანაშაული ჩადენილია ირაკლი ალასანიას მიერო. ეს არის სრული აბსურდი!

***– საქმე იქამდე ხომ არ მივა, რომ პატიმრობის საფრთხე ირაკლი ალასანიასაც დაემუქროს?***

– არ ვიცი. ამ ქვეყანაში გამორიცხული არაფერია! თუმცა ვიმეორებ, ეს აბსურდი ძალიან მალე დასრულდება!

***– რას აპირებთ? რით დაუპირისპირდებით?***

– სერიოზული საპროტესტო მუხტი იქნება, ჩვენ არჩევნებისთვის გავაკეთებთ იმას, რასაც ვაკეთებდით აქამდე. ჩვენ არჩევნების გზით აუცილებლად შევცვლით ამ ხელისუფლებას!

# ნაციონალებმა სიის პირველი ათეული წარადგინეს

## გოგა ხაჩიძე და პავლე კუბლაშვილი „გირჩებიდან“ მიდიან?

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალებმა, როგორც იქნა, საზოგადოებას თავიანთი საარჩევნო სიის პირველი ათეული წარუდგინეს.

ამ ათეულის ფორმირებას პარტიაში მეტად დრამატული პროცესები მოჰყვა და ნაციონალები გიორგი ვაშაძის გარეშე დარჩნენ.



რამდენიმე დღის წინ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, მიხეილ მაჭავარიანმა, „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ მათ რიგებში შესაძლოა კიდევ ვინმეს უმტყუნოს ნერვებმა.

გავრცელებული ინფორმაციით, პარტიაში ნერვიულობა პიკს მეორე ათეულის ფორმირებისას მიაღწევს. პარტიის რამდენიმე წევრი უკვე ემზადება სხვაგან წასასვლელად. ზოგიერთი მათგანი შესაძლოა გირჩებში ვიხილოთ, ზოგიც – ვაშაძის გუნდში.

რაც შეეხება სიის პირველ ათეულს, ის გუშინ, 16 მაისს, საზოგადოებას სიის პირველმა ნომერმა დავით ბაქრაძემ წარუდგინა.

ნაციონალები დაგვპირდნენ, რომ სიას სერიოზულად განაახლებდნენ და ქალებით გაავსებდნენ. ამბობდნენ, რომ სიის პირველ ნომრებში რამდენიმე ქალი იქნებოდა.

დაპირებები მათ მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულეს. პირველ ათეულში მხოლოდ ორი ქალი შეიყვანეს, ახალი სახე კი არც ერთი არ არის.

იყო მოლოდინი, რომ სიაში ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტიც იქნებოდა. ეროვნული ბანკის ნაპრეზიდენტალი მართლა შეიყვანეს სიაში. ოღონდ ძალიან ძველი. საუბარია რომან გოცირიძეზე, რომელსაც ეროვნული ვალუტა კუპონის ხანაში ჰქონდა ჩაბარებული. კუპონს რა ფასიც ჰქონდა, კარგად მოგეხსენებათ, ჰოდა მადლიერმა ერმა ის, როგორც ალკუპონე, ისე დაიმახსოვრა.

ნაციონალების პირველი ათეული კი ასე გამოიყურება: 1. დავით ბაქრაძე; 2. ელენე ხოშტარია; 3. რომან გოცირიძე; 4. ნიკა მელია; 5. გიორგი ტუღუში; 6. ოთო კახიძე; 7. სალომე სამადაშვილი; 8. ირაკლი აბესაძე; 9. სერგი კაპანაძე; 10. სერგო რატიანი.

გავრცელებული ინფორმაციით, პარტიაში ახლა მეორე ათეულზე მიდის მუშაობა. მეორე ათეულში გიგა ბოკერია, მიხეილ მაჭავარიანი, ირმა ნადირაშვილი და გიორგი კანდელაკი მოხვდებიან. სიის მიღმა დარჩნენ ნუგზარ წიკლაური და გოკა გაბაშვილი. კარგ პოლიტიკურ ბედ-იღბალს არც აკაკი მინაშვილს უწინასწარმეტყველებენ.

ნაციონალები ადასტურებენ, რომ სიის ფორმირების პროცესები დაძაბულად მიმდინარეობს. ამასთან, ისინი იმედოვნებენ, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის და ისეთ გუნდს წარმოადგენენ, რომ ამომრჩეველს სხვა პარტიის შემოსახაზად ხელი აღარ გაექცეს.

* * *

საარჩევნო სიის ფორმირებას ნაციონალების განაყარ „გირჩებშიც“ დიდი ამბები მოჰყვება. სიის მიღმა დარჩენის სურვილი თავიდანვე გამოთქვეს გოგა ხაჩიძემ და პავლე კუბლაშვილმა. ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე ამტკიცებს, რომ ისინი პარტიიდანაც მიდიან.

– ხაჩიძე და კუბლაშვილი „გირჩებიდან“ მიდიან. 80%-იანი ალბათობით ვიცი, რომ ისინი ბიძინას მიერ მიცემული ფულით ბიზნესში მიდიან. წავლენ და დარჩება ზურაბ ჯაფარიძე „ადინ დომა“, – განუცხადა „ახალ თაობას“ გოცირიძემ.

# ირაკლი ალასანია: „ჩვენი პარტია საგანგებო რეჟიმზე გადადის“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

აღმდეგ ჩადენილი ბოროტმოქმედების შესახებ, – დასძინა პარტიის ლიდერმა.

* * *



თავისუფალი დემოკრატების წევრი **ალექსი პეტრიაშვილი** ამბობს, რომ პარტია ამ უდანაშაულო ადამიანებს გვერდით ბოლომდე დაუდგება და არც მათ ოჯახებს მიატოვებს.

– ეს ყველაფერი 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში დასრულდება. ამ ყველაფერს ჩვენ, თავისუფალი დემოკრატები, წერტილს დავუსვამთ ქართველ საზოგადოებასთან ერთად.

***– აქციები შესაძლებელია პერმანენტული იყოს?***

– შემდგომ ქმედებებზე, ჩვენს შემდგომ ნაბიჯებზე საზოგადოება იქნება ინფორმირებული.

### ალექსი პეტრიაშვილი: „ხელისუფლებას ძალიან სერიოზულ დისკომფორტს შევუქმნით“

**შალვა შავგულიძე, თავისუფალი დემოკრატების წევრი:**

– საქმეზე ჩატარებული ორი საექსპერტო დასკვნა, ისევე, როგორც თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების ჩვენებები, პირდაპირ მიუთითებენ, რომ სწორედ კომპანია „სილქნეტმა“ შესთავაზა სამინისტროს ყველაზე დაბალღირებულებიანი და ხარისხობრივად უნაკლო მომსახურება. არამიზნობრივ ხარჯვას, რასაც სასამართლო ედავება ამ პირებს, ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, დანაშაულის ფაქტი – გაფლანგვა სახეზე არ არის.

იურისტის თქმით, მართლაც რომ ყოფილიყო გაფლანგვის ფაქტი, ეს მსჯავრდებულები ვერ იქნებოდნენ დანაშაულის სუბიექტები, ვინაიდან ამ პირების განკარგვაში არ იყო თანხა, ამ თანხების განკარგვაზე პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ. მათ არ შეეძლოთ ან ამ თანხის გამოყოფა, ან მის გამოყოფაზე უარის თქმა.

– ფინანსთა სამინისტროს მიმართავს თავდაცვის სამინისტრო წერილობით, შემდეგ საბიუჯეტო თანხის გამოყოფაზე მთავრობა მსჯელობს და შემდეგ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის პირადი ბრძანებითა და ხელმოწერით არის თანხა გამოყოფილი, – ამბობს შალვა შავგულიძე.

თუკი ასეა, პირველ რიგში ყოფილი პრემიერის, ღარიბაშვილის, მიმართ შეიძლება გაჩნდეს კითხვები და მთავრობის იმ წევრების მიმართ, რომელთაც ეს საკითხი წარადგინეს.

– ამდენად, დანაშაული რომც არსებულიყო, არ შეიძლება ამ დანაშაულის სუბიექტები დაკავებული პირები იყვნენ. სამართლებრივად ეს ბრალდება აბსოლუტურად დაუსაბუთებელია, – აცხადებს იურისტი.

**ირაკლი ჩიქოვანი, თავისუფალი დემოკრატების წევრი:**

– აქცია, რომელსაც ჩვენ შაბათს გავმართავთ, იქნება მიმართული იქითკენ, რომ საზოგადოებასთან ერთად გავაპროტესტოთ ის უსამართლობა, ის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც სასამართლომ მიიღო. პარტია საგანგებო რეჟიმზე გადადის. საარჩევნო მარათონის დაწყება, როგორც ჩანს, ასე მოგვილოცეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა. ჩვენ მივიღეთ ეს გამოწვევა და ამ გამოწვევას ვუპასუხებთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ოქტომბერში ისინი გავისტუმროთ.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

2016, 17 მაისი, №115

# მურმან დუმბაძე: „ივანიშვილს ბურჭულაძის ჩაძირვა გაუჭირდება“

## „ჩერნოვეცკი პოლიტიკიდან ბიზნესპროექტის სანაცვლოდ წავიდა“

შორენა მარსაგიშვილი

რის სანაცვლოდ წავიდა ჩერნოვეცკი პოლიტიკიდან და რა განმარტებები უნდა გააკეთოს მან, რა ინფორმაციის მოძიება მოუწევს მედიას, რატომ გაუჭირდება ივანიშვილს ბურჭულაძის ჩამოშორება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პარლამენტის ვიცე-სპიკერი **მურმან დუმბაძე** ესაუბრება.

***– რამდენიმე კვირის წინ ლეონიდ ჩერნოვეცკიმ პოლიტიკური აქტივობა შეანელა და თქვა, რომ მხოლოდ ქობულეთის მაჟორიტარად იყრიდა კენჭს. თქვენ ეს ამბავი მისი და ივანიშვილის შეხვედრას დაუკავშირეთ. ამ დღეებში კიევის ყოფილმა მერმა განაცხადა, პოლიტიკიდან საერთოდ მივდივარო. ამას რითი ახსნით?***

– გიდასტურებთ, რომ სწორედ ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ შეანელა მან პარტიული საქმიანობა. ჩერნოვეცკიმ ჩემთან პირად საუბარშიც დაადასტურა, რომ მას ყოფილ პრემიერთან ჰქონდა შეხვედრა. ამ შეხვედრიდან ცოტა ხანში მან ქობულეთში პარტიული ოფისი გახსნა და თქვა, რომ მხოლოდ მაჟორიტარად კენჭისყრით შემოიფარგლებოდა. ახლა კი ვგებულობთ, რომ ის ქართულ პოლიტიკას საერთოდ გაერიდა.

კიევის ყოფილი მერი განმარტავს, რომ მან ეს გადაწყვეტილება გამოკითხვის შემდეგ მიიღო. მე ამ ვერსიის არ მჯერა და დარწმუნებული ვარ, რომ ეს გადაწყვეტილება მან კი არა, ბიძინა ივანიშვილმა მიიღო. არ გამოვრიცხავ, რომ ისინი კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს და ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღეს.

***– ბევრი მიიჩნევს, რომ მისი პოლიტიკიდან წასვლა დანაკლისი საერთოდ არ არის. თქვენც ასე ფიქრობთ?***

– მე ცოტა სხვანაირად ვუყურებ ამ საკითხს. ურიგო არ იქნებოდა, თუ მას ქობულეთის მაჟორიტარ დეპუტატად აირჩევდნენ. ის ქობულეთში კარგ საქმეებს აკეთებს და იმედი მაქვს, რომ საქველმოქმედო საქმიანობას მომავალშიც გააგრძელებს.

პოლიტიკაში ჩერნოვეცკის შემოსვლა სხვა კუთხითაც იყო მნიშვნელოვანი. ამ ადამიანს აქვს ფული, პარტიის არსებობას და საქმიანობას კი ფული სჭირდება. მას პოლიტიკური აქტივობა რომ არ შეეჩერებინა, კარგ პარტიას შევქმნიდით და არჩევნებზეც სერიოზულ შედეგს დავდებდით.

***– თქვენ მოიაზრებოდით მის გუნდში. მისი წასვლის შემდეგ თქვენც ხომ არ გაერიდებით პოლიტიკას?***

– რას ჰქვია გავერიდები? მე და ჩემი მეგობრები ვრჩებით პოლიტიკაში, თანაც ღრმა პოლიტიკაში. კარგი იქნებოდა, კიევის ყოფილი მერიც ჩვენთან ერთად ყოფილიყო, მაგრამ ის ივანიშვილს შეხვდა და სხვა გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილებაზე მას პასუხს ვერ მოვთხოვ. ჩემი პასუხი იქნება ის, რომ კიდევ უფრო აქტიურად ვიბრძოლებ ლელოს გასატანად.



**„ყოფილ პრემიერს ბევრი ფული უნდა დავახარჯვინოთ“**

***– ივანიშვილმა მიაღებინა გადაწყვეტილებაო, ამბობთ და როგორ გგონიათ, ეს გადაწყვეტილება ტკბილი სიტყვით მიაღებინა, დაემუქრა თუ კიდევ რაიმე ხრიკი იხმარა ჩერნოვეცკისთან?***

– არა მგონია, რომ ივანიშვილი მას უხეშად დალაპარაკებოდა. სხვა თუ არაფერი, ისინი ფინანსური თვალსაზრისით თითქმის ტოლები არიან. მე არ ვანგარიშობ, როგორ და რა გზით მოიპოვეს ამ ადამიანებმა სხვა ქვეყანაში მილიარდები. ჩემი ამოცანაა, რომ ამ მილიარდერებმა ეს ფული საქართველოს ტერიტორიაზე დახარჯონ.

ძალიან მესიმპათიურება ალეკო ელისაშვილი და მის ბევრ მოსაზრებას ვუჭერ მხარს, მაგრამ ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით მისგან განსხვავებული პოზიცია მაქვს და ბოტანიკურ ბაღში ივანიშვილის მიერ ფულის დახარჯვას არ ვგმობ, მე იმას ვაპროტესტებდი და ახლაც ვაპროტესტებ, რომ მან ფინანსური აქტიურობა შეაჩერა. ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, რომ მან რაც შეიძლება მეტი ფული დახარჯოს.

***– მოდით, ისევ ორი მილიარდერის გარიგებას დავუბრუნდეთ, თქვენი აზრით, რაზე შეთანხმდებოდნენ?***

– არის მოსაზრება, რომ ჩერნოვეცკი პოლიტიკიდან იმ ბიზნესპროექტის სანაცვლოდ წავიდა, რომლის განხორციელებაც უნდოდა და ვერ ახერხებდა. არ გამოვრიცხავ, რომ ამ მიზნის მისაღწევად მან ჩემი პერსონაც გამოიყენა.

***– რანაირად გამოგიყენათ?***

– მან მე სავარაუდოდ იმიტომ შემომთავაზა თანამშრომლობა, რომ ივანიშვილის ყურადღება მიეპყრო და მასზე გასულიყო.

***– პოლიტიკური აქტივობის გარეშე მასზე ვერ გავიდოდა?***

– რადგან ასე მოიქცა, ეტყობა, ვერ გავიდა.

***– ამის მცდელობა ჰქონდა?***

– ვერ გეტყვით, შესაძლოა, ჰქონდა. რამდენადაც მე ვიცი, პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განცხადება სანამ გააკეთებდა, ივანიშვილთან შეხვედრილი არ იყო.

***– ეს მან გითხრათ?***

– ეს ჩერნოვეცკიმ ჩვენი პირველი შეხვედრის დროს მითხრა.

***– წინა ინტერვიუში გვითხარით, ღარიბაშვილის პრემიერობა ჩერნოვეცკის შეეწირაო. მაშინ ამ თემაზე მეტი კონკრეტიკა არ ისურვეთ. იქნებ ახლა მაინც გვითხრათ რაიმე დამატებითი დეტალი.***

– დეტალების გამხელას არც ახლა ვაპირებ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ჩემთან შეხვედრის შემდეგ ჩერნოვეცკის ხვდება ბიძინა ივანიშვილი. ამ შეხვედრიდან მეორე თუ მესამე დღეს ღარიბაშვილი თანამდებობიდან წავიდა. ის ბიძინა ივანიშვილმა გადააყენა.

ქვეყნის პირველი პირის თანამდებობიდან გადაყენების გადაწყვეტილებას ივანიშვილი სერიოზული მიზეზების გარეშე არ მიიღებდა. იმუშავეთ ამ თემაზე და ძალიან საინტერესო ამბავს გაიგებთ.

***– ბიზნესპროექტის სანაცვლოდ წავიდა ჩერნოვეცკი პოლიტიკიდანო და ამ პროექტის განხორციელებაში უშლიდა ხელს ღარიბაშვილი? ან იქნებ მის საარჩევნო სიაში ღარიბაშვილის ხალხი იყო შეყვანილი? თქვენ ადრე გვითხარით, რომ იმ დროს, როცა ღარიბაშვილი გადადგა, სიის ათეულზე მუშაობდით.***

– ასე გინდათ რამე მათქმევინოთ? არაფერი გამოგივათ. საკითხი კი ძალიან სერიოზული და საინტერესოა. მას თუ მიჰყვებით, ბევრ საინტერესოს გაიგებთ.

***– თქვენ ამ ამბავს არასდროს გაამხელთ?***

– გააჩნია, რა ინფორმაციებს მოიძიებს მეოთხე ხელისუფლება.

***– ჩერნოვეცკის შემდეგ პოლიტიკურ ასპარეზზე შემოვიდა პაატა ბურჭულაძე. ივანიშვილი მასაც ხომ არ შთააგონებს, რომ გამოკითხვა ჩაატაროს და პოლიტიკას გაერიდოს?***

– პაატა ბურჭულაძე სერიოზული ამბავია. ის ძალიან საინტერესო პოლიტიკურ გუნდს აკეთებს. იმედი მაქვს, რომ ის „ქართულ ოცნებასაც“ და ნაციონალებსაც სერიოზულ კონკურენციას გაუწევს.

***– ასე ძალიან რატომ გულშემატკივრობთ ბურჭულაძეს, მის გუნდში ხომ არ აპირებთ შესვლას?***

– მე ვითანამშრომლებ ყველა იმ პარტიასთან, რომლებიც არ ითანამშრომლებენ ნაციონალებთან და „ოცნებასთან“. ბურჭულაძის გამოჩენა კი იმიტომ მიხარია, რომ ის პოლიტიკურ ველზე კონკურენციას გააჩენს.

***– ჩერნოვეცკის გზას რომ დაადგეს?***

– ეს არის გამორიცხული. ივანიშვილს ბურჭულაძის ჩაძირვა გაუჭირდება. ერთხელ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვთქვი, რომ ჩერნოვეცკის ერთი სერიოზული მინუსი აქვს – ის საქართველოს მოქალაქე მხოლოდ პასპორტით არის. პაატა ბურჭულაძეს ეს პრობლემა არ აქვს და ის საქართველოს მოქალაქე დაბადებით არის. მას სერიოზული მხარდამჭერები ჰყავს.

ბიძინა ივანიშვილმა 2012 წელს ძალიან დიდი საქმე გააკეთა და საარჩევნო ყუთთან დაამარცხა მიხეილ სააკაშვილი. შეგახსენებთ იმასაც, რომ ყოფილი პრემიერი არის საფრანგეთის მოქალაქე. მან საფრანგეთში რაც უნდა ფული დახარჯოს, პოლიტიკურ გადატრიალებას ვერ შეძლებს. ამის მიზეზი იქნება ის, რომ ივანიშვილი საფრანგეთის მოქალაქეა მხოლოდ პასპორტით. მიუხედავად იმისა, რომ ჩერნოვეცკის უამრავი ფული აქვს, მას პოლიტიკაში ყოველთვის აჯობებს ბურჭულაძე, იმიტომ, რომ საქართველო მისი სამშობლოა.

თავის სამშობლოში ჩერნოვეცკი ძალიან წარმატებული იყო. მან სამჯერ მოიგო რადის არჩევნები, ორჯერ კი კიევის მერი გახდა. ქართულ პოლიტიკაში მან ფეხი ვერ მოიკიდა, რაც პაატა ბურჭულაძეს არ გაუჭირდება. ის კარგ გუნდს კრავს და არჩევნებზე ყველა პოლიტიკურ ძალას სერიოზულ კონკურენციას გაუწევს.

# ანზორ აბრალავა: „პოლიტიკური ველი ცარიელია“

## „სანამ რესპუბლიკური პარტია ვინმეს რუსეთუმეობაზე ახმაურდება, მანამდე, ჯობია, საკუთარი მძიმე წარსული გაიხსენოს“

მარიამ მჭედლიშვილი

მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ მიმართ გამოითქმის კრიტიკა იმის გამო, რომ მან არ შეასრულა დაპირება თვისებრივი განახლების შესახებ, ასევე იმის თაობაზე, რომ გვიანდება პარტიის საარჩევნო სიის გამოქვეყნება. პარტიის ბოლო ყრილობას ბევრმა ბრეჟნევის ეპოქის შეკრება უწოდა. ამ საკითხზე სხვა მოსაზრება აქვს ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას. „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იგი აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ ყრილობა ჰგავდა ჩვეულებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს პარტიის საქმიან შეკრებას.

**ანზორ აბრალავა:**

– ეს იყო ჩვეულებრივი პარტიის ტრადიციული ყრილობა. ასეთი ყრილობები ტარდება ნორმალურ ქვეყნებში. მან ყოველგვარი პომპეზურობის, შოუების, ყვირილისა და აგრესიის გარეშე ჩაიარა. იყო მოკლე ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ და პროგრამული ელემენტები.

***– ზოგიერთს არ მოეწონა იქ გამოთქმული ლოიალობა ნაციონალური მოძრაობის მიმართ.***

– პარტიის ლიდერმა დელიკატურად ისაუბრა ამ საკითხზე. მან განმარტა, თუ რომელმა საშინაო და საგარეო ფაქტორებმა გამოიწვია ნაც-მოძრაობასთან კოაბიტაციის აუცილებლობა და იმედი გამოთქვა, რომ საზოგადოება ამას გაგებით მოეკიდება. ბუნებრივია, რომ ხალხი სამართლიანობის აღდგენას მოითხოვდა და მას კოაბიტაცია არ მოსწონდა.

***– ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, „ქართულ ოცნებაში“ საკადრო შიმშილია.***

– ამ შეფასებას არ დავეთანხმები. პარტიის თავმჯდომარე და პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი პროფესიონალი და გაწონასწორებული ადამიანია. პარტიას ჰყავს იურისტების კარგი ჯგუფი გამოცდილი ეკა ბესელიას, მანანა კობახიძის, სხვების სახით. გარდა ამისა, მას შეემატნენ ისეთი პროფესიონალები და წესიერი იურისტები, როგორიცაა, მაგალითად, მამუკა მდინარაძე. „ქართულ ოცნებაში“ არანაირი საკადრო შიმშილი არ იგრძნობა. ეს ერთადერთი ძლიერი და პერსპექტიული ძალაა პოლიტიკურ სივრცეში.

***– გამოდის, რომ პაატა ბურჭულაძის ახალ პარტიას დიდ მომავალს არ უწინასწარმეტყველებთ?***

– პოლიტიკაში აქტიურობის უფლება ყველას აქვს, მაგრამ ყველა წარმატებული არ არის. ერთ მხარესაა „ქართული ოცნება“, მეორე მხარეს კი პოლიტიკური ველი ცარიელია.

***– ხომ არ აზვიადებთ?***

– არა. ვინც ტელეეკრანზე ჩნდება, ყველა სერიოზულ სუბიექტს არ წარმოადგენს. პოლიტიკური ველი ცარიელია, საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი კი არავის უჭერს მხარს. ჯერჯერობით არ გამოჩენილა ახალი ძალა ახალი იდეებითა და პროგრამებით.

***– პაატა ბურჭულაძეს სწორედ იმის პრეტენზია აქვს, რომ ახალი იდეებითა და ახალი სახეებით მოდის.***

– ამ ახალ პარტიას ჯერ არავითარი ხედვა არ წარმოუდგენია. მისი ლიდერების განცხადებებში კი არავითარი სიახლე არ ყოფილა. არ არის გამორიცხული, რომ საზოგადოების ყურადღება სრულიად სხვა, ახალმა ძალებმა მიიპყრონ. მოველი, რომ ასეთები გამოჩნდებიან. მათ ექნებათ ახალი ხედვები. საზოგადოებასაც ისევ ახალი ძალების მოლოდინი აქვს.



***– არ არის გამორიცხული, რომ თავისი პარტია შექმნას პარლამენტის უმრავლესობის წევრმა თამაზ მეჭიაურმა. საზოგადოებაში ბევრია ადამიანი, რომელიც მის შეხედულებებს იზიარებს?***

– იდეები და პროგრამა არც თამაზ მეჭიაურს წარმოუდგენია. მან გააკეთა განსხვავებული განცხადებები ამა თუ იმ საკითხზე. ამაზე წივილი ატეხეს რესპუბლიკური პარტიის წევრებმა. ამ თემაზე ბევრი ადამიანის აზრი მაქვს მოსმენილი და შემიძლია დავასკვნა, რომ მეჭიაურისა და რესპუბლიკელების დავაში ყველა მეჭიაურს უჭერდა მხარს. რესპუბლიკელებთან კამათი მეჭიაურმა 100:0 მოიგო.

ისე, სანამ რესპუბლიკელები ვინმეს რუსეთუმეობაზე ახმაურდებიან, მანამდე, ჯობია, საკუთარი მძიმე წარსული გაიხსენონ. სამხედრო საბჭოშიც ეგენი იყვნენ, კიტოვანსაც გვერდით ედგნენ, შევარდნაძესაც. ვარდების რევოლუციაშიც რესპუბლიკელები იყვნენ ჩართული სააკაშვილთან ერთად. ახლანდელი გამოხდომები მათ ნევროზულობაზე მეტყველებს.

***– რომელი გამოხდომები?***

– სხვის პარტიაში ცხვირის ჩაყოფა. რა უფლება აქვთ რესპუბლიკელებს, სხვა პარტიის ლიდერებს რომ მოუწოდებენ, ვინ უნდა გარიცხონ და ვინ უნდა მიიღონ ორგანიზაციაში! ისინი ავი დირექტორებივით იქცევიან. რესპუბლიკელები ლამის ყველას პრორუსულობას აბრალებენ იმ დროს, როცა თავისი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებით ყოველთვის რუსეთის წისქვილზე ასხამენ წყალს.

***– რესპუბლიკელები ძალიან აქებენ გიორგი კვირიკაშვილს.***

– ამას ისინი გამორჩენის მიზნით აკეთებენ. „ქართულმა ოცნებამ“ გამოაცხადა, რომ ცალკე გავა არჩევნებზე. რესპუბლიკელების ნაწილს უნდა, როგორმე „ოცნების“ ხარჯზე ისევ მოიპოვოს ადგილები. ეს ადამიანები ელიან, რომ ისე მიიღებენ პოსტებს, როგორც პენსიონერები – პენსიას. საერთოდ, მოსალოდნელია, რომ საარჩევნოდ უფრო დაიძაბოს სიტუაცია. მით უმეტეს, საქართველოს გარშემო არსებული დიდი დაძაბულობის ფონზე.


**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ქართული იდეა

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა**

№2

„ქართული იდეის“ გვერდი იხილეთ ყოველ სამშაბათს


## ქვირფასო თანამემამულენო!

საქართველოს უახლესი ისტორია ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და ტკივილიანი ფურცელია ჩვენი ერის მატიანეში. საბჭოთა იმპერიისგან დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარმა ქართველობამ და მისმა ეროვნულმა მოძრაობამ დროშად წარიმძღვარა სულმნათი ილიას ამაღორძინებელი იდეოლოგია – **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“**, მაგრამ დღემდე ვერ მივაღწიეთ ჭეშმარიტ თავისუფლებასა და ნამდვილ დამოუკიდებლობას. თავისუფლებისათვის ბრძოლაში არ გვაკლდა სიყვარული, მაგრამ გვაკლდა ერთგულება (რაზეც მეტყველებს ეროვნული მოძრაობის თითქმის ყველა ლიდერის ტრაგიკული აღსასრული), არ გვაკლდა მეგობრობა, მაგრამ გვაკლდა ერთობა, არ გვაკლდა თავდადება, მაგრამ გვაკლდა აღმსარებლობა... მოკლედ, გვაკლდა ყველაზე მთავარი – **ეკლესიური ცნობიერება, ქრისტეში ერთობა.**

ჩვენი უბედურების უმთავრეს მიზეზად დღესაც რჩება ის, რომ **საქართველოს პოლიტიკური ელიტის უმრავლესობა ღვთის ნაცვლად უცხოელ პატრონებზე ამყარებს იმედს. ხელისუფლებაში მყოფი ადამიანებისათვის მისაღები ხდება არა ის, რაც სასარგებლოა საქართველოსთვის, არამედ ის, რასაც საქართველოსათვის „სასარგებლოდ“ უცხოეთში მიიჩნევენ**. არავინ ამბობს, რომ მსოფლიოში რეალურად არსებულ გავლენიან ძალებს ანგარიში არ გავუწიოთ, პირიქით, უნდა გავუწიოთ, ეს ბუნებრივი და აუცილებელიცაა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი პოლიტიკა ავანტიურისტულ ხასიათს შეიძენდა. უბრალოდ, ქართველ პოლიტიკოსთა უდიდეს ნაწილს არ გააჩნია მყარი მსოფლმხედველობა, ეროვნული ღირსების განცდა და მუდამ სხვისი იდეოლოგიური ნასუფრალის შემყურედ რჩება. სანამ ასეთი მიდგომები იარსებებს, ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, არავინ გაუწევს ანგარიშს.

პირველი ოქტომბრის არჩევნების შედეგად პარლამენტში 40 %-ით მოხვედრილი ნაცმოძრაობის დამნაშავე რეჟიმის თუ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტს ამოფარებული ურეიტინგო პარტიების წარმომადგენელთა უმრავლერსობა არ გამოხატავს ქართველი ერის ნება-სურვილსა და ინტერესებს. **ქვეყნის ღირსეული განვითარებისათვის გადაუდებელ ამოცანად გვესახება არჩევნების გზით საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტება ახალი, გაუსვრელი სახეებით – საქმის მცოდნე ეროვნულ-ეკლესიური ცნობიერების მქონე ღირსეული მამულიშვილებით.**

გადაუდებელ ამოცანად გვესახება მედიის გათავისუფლება უზნეო და ანტიქართული თავსმოხვეული პროპაგანდისტული წნეხისაგან.

უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყნის მმართველობის იურისდიქციაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება. ამ მიზნით, უნდა აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან და სასწრაფოდ დაიწყოს უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებები. ეროვნული უსაფრთხოებიდან გამომდინარე საგარეო-პოლიტიკური ვექტორი მკვეთრად არ უნდა გადაიხაროს რომელიმე სამხედრო ბლოკის მიმართულებით. მაგალითისთვის რუსეთის მოსაზღვრე ფინეთიც გამოდგება, რომელიც არ არის გაერთიანებული ნატოს სამხედრო ბლოკში, თუმცა ევროკავშირის და ყველა ევროპული სტრუქტურის წევრია, ინარჩუნებს სტაბილურ ურთიერთობას მეზობელ რუსეთთან და წარმოადგენს ეკონომიკურად წარმატებულ, განვითარებულ ქვეყანას. ასე, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია არ უნდა ვაქციოთ დესტაბილიზაციის კერად, ნატო-რუსეთის დაპირისპირების ახალ პოლიგონად და მეორე სირია-უკრაინად.

კონფლიქტების მოგვარების დარგში მომუშავე კომპეტენტურ და პატიოსან ადამიანებთან ერთად უნდა მოხდეს ოსურ და აფხაზურ საზოგადოებასთან დიალოგის განახლებისა და შერიგების პროცესის წარმართვა. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში რეალიზებული უნდა იყოს სახალხო დიპლომატია, შერეული ოჯახები და რაც მთავარია, საქართველოს ეკლესიისა და ჩვენი (ქართველების, ოსების, აფხაზების და სხვ.) კათოლიკოს-პატრიარქის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის – ილია II-ის დიდი ავტორიტეტი.

პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით ეს იქნება არა ორიენტირებული, არამედ – დაბალანსებული, თვითმყოფადი ქვეყნის თვითმყოფადი პოლიტიკა. ისტორიულად სწორედ ასეთი გამოცდილებაა საქართველოსთვის ყველაზე წარმატებული და გასაზიარებელი: ავთენტური და არა – მკვეთრად გამოხატული დასავლური, აღმოსავლური თუ ჩრდილოური ორიენტაციები; არა – მკვეთრი გადახრა რომელიმე მიმართულებით, არამედ – ბუნებრივად განსაზღვრული გეოპოლიტიკური და გეოკულტურული ხიდის როლის შესრულება; არა – ადაპტირება, არამედ – თვითმყოფადობა; შემეცნება და არა – გადმოღება. სწორედ ასეთი პოლიტიკა შექმნის საუკეთესო პირობებს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული ინტერესების დაცვისათვის, რაც უნდა წარმოადგენდეს ქართული სახელმწიფოებრივი განვითარების უმთავრეს პრიორიტეტს.

სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის წინ საქართველო იყო რეგიონში ერთმანეთთან დაპირისპირებული სახელმწიფოების დელეგაციათა სამშვიდობო ფორმატში შეკრების ადგილი. თბილისის საკონფერენციო დარბაზებში ერთმანეთს ხვდებოდნენ სომხეთისა და თურქეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციები და ჩვენ ერთგვარ გეოპოლიტიკური და გეოკულტურული არბიტრის როლს ვასრულებდით, მაგრამ საგარეო ვექტორის მკვეთრად გადახრამ სწორედ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია დააკარგვინა ჩვენს სახელმწიფოს. ჩვენი ამოცანა გახლავთ ამ ყველაზე მნიშვნელოვანი (რეგიონში გეოპოლიტიკური და გეოკულტურული მშვიდობის ხიდის) ფუნქცია დავუბრუნოთ ჩვენს ქვეყანას.

საქართველოს სახელწიფოებრივი წინსვლა დამოკიდებულია ქვეყნის იდეოლოგიისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის სწორ განსაზღვრასა და შემუშავებაზე. ცივილიზებული მსოფლიოს თვალში არაფერი ისე არ აამაღლებს ქართველი ერის ღირსებას, როგორც აწმყოში კეთილგონივრულად გაცოცხლებული წარსული.

უაღრესად მშვიდობიანი და ჰუმანური იდეოლოგიით ქვეყნის მართვა ნიშნავს იმას, რომ მთელი ჩვენი ყოფა გამსჭვალული და გამდიდრებული იქნება მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიციებით, რაც ხელს შეუწყობს ოჯახის (სახელმწიფოს ქვაკუთხედის) აღორძინებას, მრავალშვილიანობას, ერის გამრავლებას, სიყვარულითა და პატივისცემით მოპყრობას ნებისმიერი ეთნო-რელიგიური კუთვნილების მქონე ადამიანის – როგორც მოყვასის, მიმართ.

არსებობს ფასეულობები, რომელთაც ადამიანის უფლებებზე დაბლა ვერ დავაყენებთ, ესენია: ღმერთი, სამშობლო, ოჯახი, ზნეობა, ღირსება, სიწმინდეები. როდესაც ეს ფასეულობები და ფსევდოლიბერალური გაგებით ადამიანის უფლებათა განხორციელება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის, სახელმწიფო, საზოგადოება და კანონი მათ ჰარმონიულ თანაფარდობას უნდა უზრუნველჰყოფდეს. ამ კუთხით, მზად ვართ ვითანამშრომლოთ კეთილი განზრახვის მქონე ნებისმიერ უფლებადამცველთან.

დასასრულ, თუ გვსურს, რომ ჩვენი სახელმწიფო იყოს რეალურად დამოუკიდებელი, თავისი მიწა-წყლის პატრონი და გამგებელი, გავერთიანდეთ სამშობლოს საკეთილდღეოდ და გულისხმავჰყოთ ჩვენი სულიერი მამის, კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოწოდება: **„საქართველო კვლავაც აუცილებლად გადარჩება და გაბრწყინდება, მაგრამ ამას განახორციელებს ის თაობა, რომელიც იქნება ღვთის მცნების დამცველი და მისი ნების აღმასრულებელი, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. მაშ, გავხდეთ უფლის ნების აღმასრულებელნი და დიდი საქართველოს თანაშემოქმედნი“.**

**ლევან ჩაჩუა,**
„ქართული იდეის“ თავმჯდომარე

## „ქართული იდეა“ გილოცავთ 17 მაისს – ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღეს!




2014 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მიერ 17 მაისი გამოცხადდა ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღედ

*„თანამედროვეობამ "სიახლის" სახელით წინ წამოსწია "შეს" პრინციპი, გართობა, ბუნდოვანი აზროვნება, ვულგარული მეტყველება, აქცენტი ნაწილზე და არა მთელზე... ანუ ის, რასაც არა აქვს დიდი დატვირთვა და სიღრმე.*

*სანაცვლოდ, დამამცირებლად წარმოაჩინეს ისეთ ცნებებს, როგორიცაა ჭეშმარიტება, ღირსება, გონიერება, სამშობლო, მოყვასი და სხვა.*

*ასეთი ტენდენციები ახალგაზრდას პიროვნებად კი არა, მასის ნაწილად აყალიბებს და საშუალო დონის, ყველაფრის შემგუებელ არსებად აქცევს, რომელიც ცხოვრობს დღევანდელი დღით და მომავალი არ აინტერესებს.*

*შენ არ აჰყვე წუთისოფლის დინებას და მისგან შემოთავაზებულ განწყობას. ამა სოფლის სული არის სული სიცრუისა. იგი დღეს ერთ რამეს განადიდებს, ხვალ სხვას. განა ჩვენ მოწმენი არა ვართ იმისა, რომ რაც საზოგადოების ნაწილს 10-20-40 წლის წინ კარგად და მისაბაძად მიაჩნდა, დღეს მას დასცინის?! ასევე იქნება ცოტა ხნის შემდეგ იმ "ფასეულობების" მიმართ, რასაც იგი დღეს ხოტბას ასხამს."*

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის
სააღდგომო ეპისტოლე, 2016



ამ ფოტომ ინტერნეტსივრცე დაიპყრო და მრავალი ქვეყვნისთვის გახდა სამაგალითო ერისა და ბერის ასეთი ერთსულოვნება

*დაე, იცოდნენ გარყვნილებმა და უზნეოებმა, რომ შიში უნდა ჰქონდეთ ღვთის მონებისა, და თუ მოისურვებენ ღვთის გმობას, გარშემო მიმოიხედონ, ჩრდილის დანახვაზეც კი უნდა ძრწოდენ ქრისტიანების შიშით... სიკვდილამდე იბრძოლე ჭეშმარიტების დასაცავად. ნუ მეტყვი გულგრილად, რომ შენი საქმე არაა უზნეოთა გამოსწორება; ნუ მეტყვით, რომ არაფერი გვაქვს მათთან საერთო, იმიტომ რომ ეს არის სატანური არაადამიანურობა. ერთი მგზნებარე ადამიანიც კი საკმარისია, რომ გამოასწოროს მთელი ქალაქი. მრავალთა დაღუპვა და სულიერი დაცემა მხოლოდ ჩვენი უდარდელობის ბრალია და არა სისუსტისა.*

წმ. იოანე ოქროპირი

**!** **2013 წლის 1 მაისს, ვნების კვირის ოთხშაბათს, (როდესაც იუდამ ქრისტე გაყიდა), საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენაზე ჩააგდო „აზარტული თამაშების რეკლამების აკრძალვა" (დააკლდა 13 ხმა).**

**!** **2014 წლის 17 აპრილს (ვნების კვირის ხუთშაბათს) საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი.**

**!** **2016 წელს, კვლავ ვნების კვირის ოთხშაბათს, იუდას მიერ ქრისტეს გაცემის დღეს, საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო ე.წ. „იუვენალური იუსტიციის" კანონი, რომლის მიხედვითაც სოციალურ აგენტს უფლება ეძლევა ოჯახს მცირეწლოვანი შვილი ჩამოართვას (84 მომხრე, 0-წინააღმდეგი).**

*„პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით ცოდვა დააკანონა, მაგრამ არცერთი მორწმუნე ქართველი არ დაემორჩილება ამ კანონს".*

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი
ილია მეორე



17 მაისი 2015 წელი
თბილისი



ქრისტიანები ყველა დროის ყველაზე კანონმორჩილი მოქალაქეები იყვნენ, მაგრამ როდესაც მდევნელი იმპერატორები თუ ათეისტი ბელადები ღვთის მცნების საწინააღმდეგო კანონებს იღებდნენ, მაშინ ჭეშმარიტი ქრისტიანები ასეთ კანონონებს არ ემორჩილებოდნენ და ეს, რომ ასე არ ყოფილიყო, ჩვენ არცერთი მოწამე და აღმსარებელი არ გვეყოლებოდა, ჩვენი დროის დიდი წმინდანის ბერი გაბრიელის სახითაც, რომელმაც კომუნისტური რეჟიმის დროს დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე იმ დროისათვის გაუგონარი უკანონობა ჩაიდინა და ცეცხლი წაუკიდა ლენინის პორტრეტს, რის გამოც მაშინდელმა მთავრობამ დააპატიმრა და დახვრეტის მუხლი მიუყენა, თუმცა ბერი გაბრიელი საწაულებრივად გადაურჩა სიკვდილით დასჯას და დღეს მისი ეს ქმედება გმირობადაა შეფასებული!

**ლევან ჩაჩუა,**
„ქართული იდეის“ თავმჯდომარე



# ეროვნული თავისებურებების გაქარწყლებამ ევროპა კულტურების სამარედ აქცია

ევროპამ უღალატა ქრისტიანობას, იმიტომ აღმოჩნდა ის დღეს გადარჩენის პრობლემის წინაშე, რომ არ შეუძლია გადაჭრას იდენტურობის პრობლემა. და ეს მან დაადასტურა მაშინ, როდესაც მისმა პოლიტიკურმა ლიდერებმა იუარეს ევროპულ კონსტიტუციაში ეხსენებინათ ქრისტიანობა, ვით წყარო ევროპული კულტურისა.

რასაც ცდილობენ და რაზეც თავადაც ღიად საუბრობენ გლობალიზაციის მესვეურები და სულისჩამდგმელები, ეს არის ნაციონალური თავისებურებების განადგურება. ისინი ცდილობენ მსოფლიოს მოახვიონ აზრი, რომ არა მარტო ერთიანი ეკონომიკური მოდელი, არამედ ენაც და კულტურაც ერთიანი უნდა ჩამოყალიბდეს.

ადვილი შესამჩნევია, რომ ეროვნული თავისებურებების გაქარწყლებამ ევროპა კულტურების სამარედ აქცია. მრავალეროვნულ და მრავალენობრივი ბაღის ადგილზე სურთ ერთფეროვანი კოლოფები ააგონ, რომელშიც სახედაკარგულმა მოსახლეობამ უნდა იცხოვროს. შედეგად, ადამიანის სულს მხოლოდ ჩამოუყალიბებელი სიცარიელის განცდა დაეუფლება.

გარკვეული ძალები დუმილს უბრძანებენ მოძღვრებს, თითქოს ყვე-ლაფერი დალაგებულად იყოს და სასულიერო პირებს შეჰქონდეთ საზოგადოებაში შფოთი და არეულობა. კეთილმა მოძღვარმა სული თვისი უნდა დასდოს სამწყსოსათვის და დღენიადაგ თავისუფლად უნდა თქვას სიმართლე.

ათენის მთ. ეპისკოპოსი ქრისტოდული

# სანამ გვიან არ არის!

ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა აშშ-ს ზოგიერთ შტატში დღესაც კი დასჯადია, თუმცა დასავლეთი მიზანმიმართულად ახორციელებს თავისი ზეგავლენის ქვეშ მყოფ სახელმწიფოებში საკანონმდებლო სივრცეში ამ გაუკუღმართებული ურთიერთობის ნორმად დაკანონებას.

1. თავდაპირველად განახორციელეს ჰომოსექსუალიზმის დეკრიმინალიზაცია, ანუ იმ კანონების გაუქმება, რომელთა მიხედვითაც ასეთი ქმედება ისჯებოდა;
2. მეორე ეტაპზე დაიწყეს ბრძოლა თანაბარი უფლებების მოსაპოვებლად და მიაღწიეს კიდეც ამას;
3. მესამე ეტაპზე ლგბტ-ეს მიანიჭეს უმცირესობის სტატუსი, რითაც გახადეს პრივილეგირებულები;
4. დაიწყეს ბრძოლა უმრავლესობის კრიმინალიზაციისათვის, რაც ნიშნავს იმას, რომ, ვინც არ ეთანხმება ჰომოსექსუალიზმს და საჯაროდ გამოთქვსმს მათ წინააღმდეგ აზრს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება;
5. ახლა კი სურთ ჰომოსექსუალიზმი თავს მოახვიონ უმრავლესობას, რაშიც დაეხმარებათ იუვენალური კანონი. ეს კანონი მისცემს მათ საშუალებას, წაართვან შვილები ოჯახებს და გადასცენ ისინი აღსაზრდელად ჰოპმოსექსუალ, ან ლესბოსელ ოჯახებს.

ქართულმა სასოგადოებამ დროულად უნდა გაიაზროს ამ „კანონების“ მავნებლობა და დროულად აღიმაღლოს ხმა.

## სტატისტიკა

2017 წელს ფინეთში 17409 ბავშვი იყო წართმეული და მათი რაოდენობა დღითიდღე იზრდება.

მარტო 2009 წელს საფრანგეთში 10 000 ბავშვი გამოიყვანეს ოჯახებიდან და დღეს ეს რიცხვი 100 000-ს აღწევს.

ნორვეგიაში 4-მილიონიანი მოსახლეობიდან 1.2 მილიონი ბავშვი უკვე წაართვეს მშობლებს...

და რაც ყველაზე საგანგაშოა, ხდება სოციალური მუშაკების წახალისება, რაც შეიძლება მეტი ბავშვი მოწყვიტონ ოჯახს. ამერიკაში თითოეულ წართმეულ ბავშვზე მათ აძლევენ 5000$ პრემიის სახით, ხოლო ევროპაში 1000 ევროს ამასთანავე მიმდინარეობს წართმეულ ბავშვთა რაოდენობის გასაჯაროება და ერთგვარი კონკურენციაა სხვადასხვა ქალაქების კომუნებს შორის, თუ ვინ ვის აჯობებს!

* * *



2015 წლის, ნოემბრის მიწურულს, ნორვეგიაში ბავშვთა დაცვის სამსახურმა Barnevernet-მა ბოდნარიუსების ქრისტიანული ოჯახიდან 5 ბავშვი წაიყვანა. მშობლებს ბრალს დებენ „რადიკალურ ქრისტიანობაში და იდეოლოგიურ დამუშავებაში“.

მარიუს კონსტანტინი რუმინეთის მოქალაქეა, ხოლო მისი ცოლი რუთი – ნორვეგიის მოქალაქე. ნორვეგიაში საცხოვრებლად დაახლოებით 10 წლის წინ გადავიდნენ. ბავშვები ნორვეგიაში დაიბადნენ და მათი ასაკი 3 თვიდან 10 წლამდეა. ყველაზე მცირეწლოვანი შვილი, რომელიც სულ რაღაც 3 თვის იყო იმყოფებოდა ბუნებრივ კვებაზე.

**რედაქციის წევრები**: თეა პაიჭაძე, ინგა გავაშელი,
მაია ფეიქრიშვილი.
ქართული იდეა ტელ.: 224-41-40

# კანონი, რომლის ძირითადი აზრია მშობლებისთვის შვილების წართმევა

ამ დღეებში მთავრობის დავალებით საქართველოს პარლამენტში მზადდება კანონი, რომლის ძირითადი აზრია წარმოუდგენელი რამ - მშობლებისთვის შვილების წართმევა. ამ კანონს ჰქვია: „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ და ახლა მზადდება მასში ცვლილებების შეტანა, სადაც ნათქვამია, რომ მოძალადედ ითვლება ის მშობელი, ან ბავშვის აღმზრდელი, რომელიც არ აძლევს უფლებას ბავშს აღასრულოს თავისი კონსტიტუციური უფლებები. ეს ნიშნავს რომ მშობელი არ აკმაყოფილებს ბავშვის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ საჭიროებებს, უზღუდავს საბაზისო განათლებას, სექსუალურად ძალადობს ბავშვზე.

საქართველოში ისეთი მშობლებისა და აღმზრდელების რიცხვი, რომლებიც ფიზიკურად და სექსუალურად ძალადობენ ბავშვებზე, შეიძლება თითზე ჩამოსათვლელი იყოს. ხოლო ის ტრადიციული ოჯახები, რომლებიც წინააღმდეგი იქნებიან თავიანთი შვილების უზნეო და ურწმუნო აღზრდისა – ასი ათასობითაა. აქედან გამომდინარე, ეს კანონი ძირითადად მიმართულია მათ წინააღმდეგ, ვისაც სურს თავისი შვილები ქართული ტრადიციის მიხედვით აღზარდოს. ძალადობის დანარჩენი ფორმების ჩამოთვლა არის მხოლოდ და მხოლოდ ხალხისთვის თვალის ახვევა. მშობლებისთვის ბავშვების წართმევა წამოუდგენელი განსაცდელია, უდიდესი ტკივილი. სავარაუდოა, რომ წართმეული ბავშვები დაავადდებიან ფიზიკურადაც და სულიერად.

ბავშვების წართმევა უნდა განახორციელონ სოციალურმა მუშაკებმა და პოლიციამ. საინტერესოა, ვინ დათანხმდება ასეთ საშინელ სამსახურზე.

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონო და ქალბატონო მინისტრებო და პარლამენტარებო, პოლიციის და უშიშროების თნამშრომელნო, თანამდებობა დროებითია! შესაძლოა ხვალ თქვენ რიგითი მოქალაქეები გახდეთ, მაშინ ეს კანონი თქვენს ოჯახებს, თქვენს შვილებს და შვილიშვილებს შეეხება.

სამთავრობო და საპარლამენტო გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება მთელ ერს მიღების წინ უნდა გახდეს ხალხის - ყველა მოქალაქის განხილვის, განსჯის საგანი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ფიქრი კანონის მიღების ან არმიღების შესახებ.

მღვდელ-მონაზონი ბასილი



წმ. ბასილი დიდის სახელობის მამათა მონასტერი

*„დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფოს მხრიდან ახალდაქორწინებულებისა და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის სოციალური შეღავათებისა და დახმარების განსაზღვრა.“*

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული იდეის“ მიზნები და ამოცანები

ქართული იდეის მიზანია, რეალური დახმარება გაუწიოს დედებსა და შვილებს. ამისათვის უპირველეს ყოვლისა, მრავალშვილიან ოჯახებს უნდა მიენიჭოთ განსაკუთრებული სტატუსი, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ასეთი ოჯახების არა მხოლოდ მატერიალური წახალისების, არამედ საყოფაცხოვრებო გარემოს გაუმჯობესების, შეღავათიანი განათლების, სპორტული და კულტურული განვითარების ხელშემწყობი პროგრამების ჩამოყალიბება-განვითარება.

რეალური საარსებო მინიმუმის დადგენის შემდეგ, ყოველ ახალშობილს სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს იმ რაოდენობის თანხით, რომელიც უზრუნველყოფს ჩვილის მინიმალური სასიცოხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ერთი წლის განმავლობაში. ასევე აუცილებელია რაიონების მიხედვით შეიქმნას ჩვილ ბავშვთა და დედათა დასახმარებლად პედიატრთა ჯგუფი, რომელიც დაეხმარება დედებს მშობიარობის შემდგომ რეაბილიტაციაში და გაუწევს რეკომენდაციებს ჩვილების მოვლის მეთოდებში.

ოჯახებს, რომელთაც დაკარგეს სამუშაო ადგილი და ჰყავთ მცირეწლოვანი ბავშვები სოციალური სტატუსისგან დამოუკიდებლად უნდა დაენიშნოთ დროებითი დახმარება ახალი სამუშაო ადგილის პოვნამდე.

იმ ოჯახებს, რომლებიც უნარშეზღუდულ შვილს უვლის, უნდა დაენიშნოთ როგორც ფინანსური, ასევე მედიკამენტური და აუცილებელი საყოფაცხოვრებო ტექნიკით დახმარება და საჭიროების შემთხვევაში საცხოვრებელი არეალის შესაბამისი და მოსახერხებელი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა.

მოხდება დასახლებული პუნქტების რევიზია (განსაკუთრებით სოფლებში), თუ რამდენად არის გათვალისწინებული ბავშვთა და მოზარდთა განვითარებისათვის აუცილებელი გარემო (რეაკრიაციული ზონები, უსაფრთხო გადაადგილების საშუალებები, სპორტული მოედნები, სავაჭრო ცენტრები, (სადაც შეეძლებათ შეიძინონ საჭირო ნივთები, წიგნები, სათამაშოები, სპორტული ინვენტარი და ა.შ), ბიბლიოთეკები, სამედიცინო დაწესებულებები. გამგეობების წასახალისებლად უნდა მოეწყოს კონკურსები - ბავშვებისთვის ყველაზე კარგი გარემოს შემქმნელთა გამოსავლენად.

„ქართული იდეა“ ორიენტირებულია ოჯახის გაძლიერებისაკენ, რადგან ძლიერი სახელმწიფოს საფუძველი ძლიერი ოჯახია!

თეა პაიჭაძე



ეს ქვეყანა ჭეშმარიტებისათვის ბრძოლის ასპარეზია.

წმ. ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი)

## ქართული იდეის მრავალშვილიანი წევრები



ლევან ჩაჩუა ოჯახით



უჩა წიკლაური ოჯახით



ზურაბ ავსაჯანიშვილი ოჯახით



გივი კოქლამაზაშვილი ოჯახით



ოთხი შვილის მამა ზაზა ჩაჩუა



შალვა ელიოზიშვილის და თეა პაიჭაძის ოჯახი

# აფხაზებმა მსოფლიო პატრიარქისგან აღიარება კიდევ ერთხელ ითხოვეს

შორენა მარსაგიშვილი

**აფხაზურ ეკლესიაში დაპირისპირება გრძელდება. აქაური ეკლესია ისევ ორ ნაწილად არის გახლეჩილი. ერთ ნაწილს ბესარიონ აპლია ხელმძღვანელობს, ხოლო მეორე ნაწილს – დოროთეი დბარი.**

დბარის დაჯგუფება რამდენიმე წლის წინ გამოეყო დედაეკლესიას და აფხაზთა წმინდა სამიტროპოლო შექმნა.

წმინდა სამიტროპოლო, აპლიას დაჯგუფების მსგავსად, საქართველოს ეკლესიიდან გამოყოფის მომხრეა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პატრიარქი აპლია მიზნის მიღწევას რუსების დახმარებით აპირებს, პატრიარქი დბარი კი კონსტანტინეპოლზე ამყარებს იმედებს.

რამდენიმე წლის წინ დბარი სხვა ამბოხებულ სასულიერო პირებთან ერთად კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა და მსოფლიო პატრიარქ ბართლომეს შეხვდა. მათ მსოფლიო პატრიარქს აფხაზეთის ეკლესიის აღიარება სთხოვეს.

მათივე მტკიცებით, ამის პირობა მიიღეს კიდევაც. მოგვიანებით ეს ინფორმაცია მსოფლიო პატრიარქის წარმომადგენლებმა ოფიციალურად უარყვეს.

რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ სამიტროპოლომ გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ შეეხსენებინა თავი მსოფლიო პატრიარქისთვის. ამ მიზნის მისაღწევად მათ ახალ ათონში საეკლესიო-სახალხო კრება გამართეს.

ასეთი კრება აფხაზეთში მეორედ გაიმართა. პირველი კრება 2011 წლის მაისში შედგა. სწორედ მაშინ მოხდა აფხაზურ ეკლესიაში სერიოზული განხეთქილება. დბარი და ახალგაზრდა სასულიერო პირები ახალი ათონის მონასტერში რუსეთის პატრიარქის მიერ წინამძღვრის დანიშვნას აპროტესტებდნენ.

ახალგაზრდა სასულიერო პირები მიიჩნევენ, რომ აფხაზური ეკლესია ბიზანტიური ეკლესიის ნაწილია. ისინი ითხოვდნენ, რომ აფხაზეთში ღვთისმსახურება აფხაზურ ენაზე წარმართულიყო. ისინი წირვა-ლოცვებს მშობლიურ ენაზე აღავლენდნენ. აპლია და მისი სულიერი ძმები კი ყოველგვარ რუსულს ანიჭებენ უპირატესობას.

ახალგაზრდების პროტესტი საბოლოოდ დიდ განხეთქილებაში გადაიზარდა და დღეს აფხაზეთს 2 პატრიარქი ჰყავს. მესამე პატრიარქად ილია II ითვლება, თუმცა აფხაზები მას არ აღიარებენ.

დაუმორჩილებლობისთვის პატრიარქ დბარს ღვთისმსახურების ჩატარების უფლება ჩამორთმეული აქვს. ის ამ აკრძალვას არ ემორჩილება და საკმაოდ დიდი მრევლი ჰყავს.

როგორც აფხაზური მედია იუწყება, დოროთეი დბარი, რომელსაც სასულიერო განათლება საბერძნეთში აქვს მიღებული, მოსახლეობაში დიდი პატივისცემით სარგებლობს. აფხაზი ჟურნალისტების ცნობით, ის, სხვა სასულიერო პირებისგან განსხვავებით, ვირით გადაადგილდება.

საზოგადოება რომ მის მიმართ პატივისცემას იჩენს, ეს სახალხო-საეკლესიო კრებაზეც გამოჩნდა. ამ ღონისძიებაზე დასასწრებად 1.500 ადამიანი შეიკრიბა, რაც აფხაზეთისთვის სერიოზული ციფრია.

აფხაზური მედიის ცნობით, შეხვედრის დასასრულს მსოფლიო პატრიარქ ბართლომესთან გასაგზავნი მიმართვის ტექსტი შეიმუშავეს.

მიმართვაში დბარი და მისი გუნდი პატრიარქ ბართლომეს აუწყებენ, რომ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II არც აფხაზურ ეკლესიას წარმოადგენს და არც – აფხაზურ ეთნოსს.

თავიანთ მიმართვაში მათ ილია II იმაშიც დაადანაშაულეს, რომ ის ბოლო 22 წლის მანძილზე აფხაზეთში არ ჩასულა. მისი ჩაუსვლელობის მიზეზებზე საერთოდ არაფერია ნათქვამი. არადა ყველამ კარგად იცის, რომ ილია II-ს აფხაზეთში ჩასვლის მცდელობა არაერთხელ ჰქონდა, მაგრამ ჩვენი პატრიარქი ენგურსგაღმა არასდროს გადაუშვეს. ამას აფხაზები იმით ხსნიდნენ, რომ მას უსაფრთხოების გარანტიებს ვერ მისცემდნენ.

მიმართვის ავტორებმა პატრიარქ ბართლომესთვის გაგზავნილ წერილში იმასაც გაუსვეს ხაზი, რომ აფხაზები არასდროს თვლიდნენ თავს ქართველებად და, შესაბამისად, არც ქართული ეკლესიის მრევლს წარმოადგენდნენ.



მათი მტკიცებით, უკვე კარგა ხანია, რაც აფხაზური ეკლესია საქართველოს საპატრიარქოს შემადგენლობიდან გამოსულია.

მსოფლიო პატრიარქს აფხაზები იმასაც შესჩივიან, რომ ილია II აფხაზეთის ეკლესიას „დაეპატრონა“.

– საქართველოს პატრიარქი ილია II 2010 წლიდან ითვლება ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსადაც. არადა მას არა აქვს უფლება, იყოს აფხაზური ეკლესიის წინამძღოლი, – ნათქვამია წერილში.

აფხაზური მედიის ცნობით, პატრიარქი დბარი აფხაზური ეკლესიის გარშემო არსებული ვითარებით შეშფოთებულია. მისი აზრით, შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი ერთადერთია და მას სახელად აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალია ჰქვია.

– ამ ვითარებიდან ეტაპობრივად უნდა გამოვიდეთ, აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე უნდა არსებობდეს ერთი ეკლესია. რომლის ავტოკეფალიასაც მთელი მართლმადიდებლური სამყარო აღიარებს, – აღნიშნავს დბარი.

დოროთეი დბარი დარწმუნებულია, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება მსოფლიო პატრიარქს მარტივად შეუძლია. მისი აზრით, ამისთვის საჭიროა გადაიხედოს საქართველოს ეკლესიის კანონიკური საზღვრები.

* * *

ამ შეხვედრაზე დასასწრებად მოსაწვევები არ გაუგზავნიათ ბესარიონ აპლიასთვის. თუმცა, რომც გაეგზავნათ, საეჭვოა, ისინი იქ გამოჩენილიყვნენ. თავყრილობამდე რამდენიმე დღით ადრე ბესარიონ აპლიამ საგანგებო განცხადება გაავრცელა და სამიტროპოლოს ქმედება დაგმო. მისი აზრით, ასეთი კრებებით მნიშვნელოვანი საეკლესიო საკითხების გადაწყვეტა წარმოუდგენელია.

– ამ შეკრებას სერიოზულად უნდა შევხედოთ. ეს არც საეკლესიო შეკრებაა და არც კანონიკური, ასეთ თავყრილობას შეგვიძლია სახალხო შეკრება ვუწოდოთ მხოლოდ. სახალხო შეკრებებზე კი მნიშვნელოვანი საეკლესიო საკითხები არ გვარდება, – აცხადებს აფხაზური ეკლესიის წინამძღოლი.

აპლიამ კრების ჩატარების ინიციატორებს თვითმარქვიები უწოდა, თავად კრებას კი – შეცდომა.

ბესარიონ აპლია შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ აფხაზეთის სამიტროპოლო თავისი ქმედებებით მოსახლეობასა და ეკლესიაში განხეთქილებას აღრმავებს.

– როდესაც ეკლესიაში ასეთი განხეთქილებაა, ჩვენი ავტოკეფალიის აღიარების მინიმალური შანსიც კი არ არსებობს, – ამბობს აპლია.

# თენგიზ დიხამინჯია: „ბურჭულაძეს პოლიტიკაში არაფერი ესაქმება“

გულიკო ბალაძე

**პოლიტიკურ ბაზარზე მყოფი პარტიები და ძალაუფლების დაუფლების სურვილი. როგორი ვითარება იქმნება საქარიაკო დაფაზე და რა შანსები აქვს დღევანდელ პოლიტიკურ მოთამაშეს?**



– პოლიტიკური ვითარება ძალიან ჩახლართული და ბუნდოვანია. მოვლენებს არჩევნების გადმოსახედიდან უნდა შევხედოთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომელი პარტიები გავლენ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, რა დოზით გავლენ, რა პროცენტებით, რამდენად მყარი იქნება და ვინმე მიიღებს თუ არა კონსტიტუციურ უმრავლესობას, – განაცხადა თენგიზ დიხამინჯიამ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში.

***– ბუნდოვნობასა და ჩახლართულობაში რას გულისხმობთ?***

– თვითონ „ოცნების“ გუნდი იყო ძალიან ბუნდოვანი, გაურკვეველი და ხანდახან ორმაგ და სამმაგ სტანდარტებზე აგებული, რომელმაც თავისი უმთავრესი პირობა, სამართლიანობის აღდგენა, ვერ შეასრულა. სამართლიანობის აღდგენა პირდაპირ გულისხმობდა, პოლიტპატიმრების აღიარების პირობებში პოლიტიკურ შეფასებას. ნაციონალური რეჟიმის ნამოქმედარს შეფასება არ მისცეს, ნაციონალები ვერ გაანეიტრალეს, არ მოხდა ეკონომიკური სტაბილიზაცია, არ შეიქმნა საშუალო ფენა, კონსტიტუცია, ტერიტორიული მთლიანობის საკითხის, რეალურად, ადგილიდან დაძვრა და ახალი ხედვების წარმოდგენა ახალ რეალობაში.

ყველაფერი ეს ბუნდოვანს ხდის მმართველი პარტიის მომავალს და იმ ახალ რეალობას, რომელიც მომავალში უნდა შეიქმნას.

„ქართული ოცნების“ ყრილობაც ბუნდოვანი იყო. ვერ გამოკვეთეს ის სტრატეგიული პრობლემები, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას.

***– იმ პოლიტიკურ და სამართლებრივ მოცემულობაში, რომელშიც არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნება“ აღმოჩნდა, იმის საშუალებას იძლეოდა, რომ ყველა ის პუნქტი, რომელიც თქვენ ჩამოთვალეთ, შესრულებულიყო?***

– ბევრი რამ უნდა შესრულებულიყო. რაღაც ნაწილი, რა თქმა უნდა, განხორციელდა, [illegible] ლი და დროში გაწელილი იქნებოდა. თუმცა, პროცესი, რეალურად, უნდა დაძრულიყო და ხალხი უნდა დაერწმუნებინათ ამ პროცესის გარდაუვალობაში. სამწუხაროდ, ეს მათ ვერ შეძლეს. ამის დამადასტურებელია ის, რომ საგარეჯოს არჩევნებსა და შემდგომ გამოკითხვაში 70%-მა ზურგი შეაქცია „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის კოაბიტაციას.

***– თქვენ თქვით, კურსი ბუნდოვანი და ორმაგ და სამმაგ სტანდარტებზე იყო აგებული. იმგვარი მიდგომა ქვეყნისთვის, გარკვეულწილად, სასარგებლოც ხომ არ იყო? რადიკალურობას მოკლებული კურსი ხომ არც ერთი მხარისთვის გამაღიზიანებელი არ იქნებოდა.***

– რას გულისხმობთ, გარედან ზეწოლას?!

***– დიახ, გარედან ზეწოლის შემცირებას.***

– კომპრომისების გარეშე პოლიტიკა არ არის. მით უმეტეს, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მაგრამ იმ ვითარებაში, როცა ვაზაგაშვილის, რობაქიძის, გამცემლიძის, სხვა შვილმკვდარი მამების დასახიჩრებული, დაავადებული, უფლებააყრილი ადამიანების უფლებების აღდგენის პროცესი ჩიხში შევიდა, სასამართლო და პროკურატურა ელემენტარულ დონეზე ვერ იდგა, „ოცნებამ“ ვერ მოახდინა სააკაშვილის სისტემის დემონტაჟი და სააკაშვილის სისტემის მძევალი აღმოჩნდა, საერთაშორისო კონიუნქტურის როლი დიდად გადამწყვეტი არ არის.

***– მე უფრო საგარეო კურსზე ვლაპარაკობ. მოგეხსენებათ, ბოლო დროს გააქტიურდნენ ანტინატოელები. როდესაც ვიღაცისთვის ბუნდოვანია კურსი, ზეწოლაც ნაკლებია და უსაფრთხოებაც დაცულია.***

– საგარეო კურსთან დაკავშირებით „ოცნების“ მიმართ პრეტენზიებია არ მაქვს. ამ თვალსაზრისით შედარებით ზომიერი იყო. „ოცნებას“ საშინაო პრობლემები უნდა დაელაგებინა უსწრაფესად. თუ ამას ვერ აკეთებდა, გუნდი უნდა შეეცვალა და გადაეხედა პროცესებისათვის, რაც. სამწუხაროდ, ვერ მოახერხა და კოლაფსის წინაშე აღმოჩნდა.

***– განახლებული პროგრამითა და განახლებული გუნდით „ოცნება“ ვერ გააკეთებს იმას, რაზეც თქვენ საუბრობთ?***

– ძალიან ეჭვი მეპარება. ასეთი გუნდი, ასეთი სულისკვეთება და დამოკიდებულება არ არის მანდ. თუნდაც ის, რომ გიორგი კვირიკაშვილს არანაირი პარტიული გამოცდილება არ აქვს. ძალიან კარგი ადამიანია და მესიმპათიურება პირადად, მაგრამ ადამიანს არანაირი გამოცდილება არ აქვს პოლიტიკურ პარტიაში მუშაობის, შემდგომ ირჩევ პრემიერ-მინისტრს პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარედ, გაგყავს არჩევნებზე და გინდა მისგან შექმნა ახალი ლოკომოტივი, რომ მთელი ხმები წაიღოს.

ეს იმის დამადასტურებელია, რომ ეს გუნდი ძირეული განახლებისა და კონცეპტუალური საკითხის გადასაწყვეტად მზად არ არის. ვერ თანამშრომლობს და პარტნიორად არ ეგულება ეროვნული ძალები, რომლებიც პრობლემებს აღმოფხვრიან და ითანამშრომლებენ.

***– 20-წლიანი პარტიული პოლიტიკური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პარტიული გამოცდილების მქონე ადამიანებმა ვერაფერი გააკეთეს. შევარდნაძეს, სააკაშვილსა და სხვებს ჰქონდათ დიდი პარტიული გამოცდილება, მაგრამ ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანეს.***

– სააკაშვილსა და შევარდნაძეს დანაშაულებრივი და კრიმინალური მიდრეკილებები და კურსი ჰქონდათ, რასაც ვერ ვიტყვი „ოცნებაზე“. მას ხალხის მიმართ კრიმინალური დამოკიდებულება არ აქვს. ეს აშკარად პლუსია. ხალხს ქუჩაში არ ხოცავენ, ტყუილუბრალოდ ღირსებას აყრა არ ხდება, ციხეში პატიმრებს შეურაცხყოფას არ აყენებენ, მოქალაქეების ძირითადი უფლებები, ასე თუ ისე, დაცულია. ის მონაპოვარი ნამდვილად გააჩნიათ, განსხვავებით წინა რეჟიმისაგან, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

***– არსებულ პოლიტიკურ ბაზარზე ისეთი პარტია ჩანს, რომელსაც არც ლოკომოტივი დასჭირდება და რეალურად გამარჯვება შეუძლია?***

– პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებას სჭირდება პოლიტიკური მსოფლმხედველობა, კონცეფცია, გუნდი, ცხოვრების წესი, ფინანსები და სატელევიზიო ეთერი. პლუს კარგი საარჩევნო კანონი და კარგად დათვლილი მოსახლეობა. ეს იძლევა წარმატების გარანტიას.

***– ასეთად ვინმე წარმოგესახათ? მაგალითად, ბურჭულაძე?***

– ბურჭულაძეს პოლიტიკაში არაფერი ესაქმება. ის კარგი მომღერალია, დიდი სახელი აქვს, მაგრამ მის გუნდს და იმ პრობლემებზე მსჯელობას ვერ ვხედავ, რომლებიც დღეს ქვეყანას აწუხებს. მომავალში გარდაუვალი იქნება ახალი კოალიციური მთავრობის შექმნა. მომავალი პარლამენტი იქნება გარდამავალი პარლამენტი.

***– ბურჭულაძეზე ზოგი დიდ იმედს ამყარებს.***

– ვისაც რა უნდა, ის დაამყაროს. მე ბურჭულაძის მსოფლმხედველობას, გუნდს, ცხოვრების წესს და პრობლემების გაცნობიერებას და საზოგადოებისთვის შეთავაზებას, საზოგადოებასთან კონტრაქტის გაფორმებას ვერ ვხედავ, რაც ყველა ქვეყანაში მიმდინარეობს.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# განცხადებები


## იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

## მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45. სერთიფიკატი №53.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45. სერთიფიკატი №53.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.


# ჯონ ქერი საუდის არაბეთის მეფეს შეხვდა



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი საუდის არაბეთის მეფეს სალმანს შეხვდა. მოლაპარაკების ძირითადი თემა სირიაში შექმნილი მდგომარეობა იყო.

საუდის არაბეთი სირიელი ზომიერი მეამბოხეების ძირითადი მხარდამჭერია.

მეფე სალმანთან საუბარში ქერიმ აღნიშნა, რომ ვაშინგტონი კვლავ მხარს უჭერს ხელისუფლებიდან ბასარ ასადის წასვლას. ქერიმ ხაზი გაუსვა, რომ ასადის წასვლა მშვიდობიანად უნდა მოხდეს.

– დღეს ამისი რეალური შანსები არსებობს, – თქვა ქერიმ.

სახელმწიფო მდივნის აზრით, სირიის კონფლიქტის სამხედრო გზით გადაწყვეტა უპერსპექტივოა. შესაძლოა, ამით ასადის დამხობა მართლაც მოხერხდეს, მაგრამ სირია ხანგრძლივ სისხლიან კონფლიქტში აღმოჩნდება ჩათრეული, ან განმეორდება ის, რაც ავღანეთში მოხდა.

– სამოქალაქო ომმა უკვე 300.000-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ისმის კითხვა, კიდევ რამდენი დაიღუპება, თუკი ომი გაგრძელდება? – თქვა ქერიმ.

მოგვიანებით ჟურნალისტებთან საუბრისას ქერიმ საუდის არაბეთის მეფესთან გამართული მოლაპარაკებები დადებითად შეაფასა. ქერიმ გამოთქვა იმედი, რომ საუდის არაბეთის ხელმძღვანელობა სირიაში მშვიდობის აღდგენას ხელს შეუწყობს.

– მათ ესმით, რომ ომის შეჩერება სასიცოცხლოდაა აუცილებელი, – ქვა ქერიმ.

# სომხები და აზერბაიჯანელები კვლავ ერთმანეთს ესვრიან



აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა აზერბაიჯანელ მეომრებს ცეცხლი გაუხსნეს.

სომხეთმა მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი გამოიყენა.

სომხეთის თავდაცვის სამინისტრომ თავის მხრივ გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა სომხეთის საზღვრის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს.

– მოკლულია ერთი სომეხი ჯარისკაცი, – იტყობინება სომხეთის თავდაცვის სამინისტრო.

# ამერიკელები უკრაინას დამატებით 1 მილიარდის კრედიტს გამოუყოფენ



შედგა პრეზიდენტ პოროშენკოსა და აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის სატელეფონო საუბარი. მიღწეულ იქნა შეთანხმება უკრაინა–აშშ-ს შორის ხელშეკრულების დადების შესახებ.

ამ ხელშეკრულებით, აშშ უკრაინას დამატებით 1 მილიარდის კრედიტს გამოუყოფს.

ბაიდენმა კმაყოფილება გამოთქვა გენპროკურორის თანამდებობაზე იური ლუცენკოს დანიშვნის გამო და განაცხადა, რომ აშშ კვლავ მხარს დაუჭერს დემოკრატიული რეფორმების გატარებას უკრაინაში.

# ფილიპინების ახალ პრეზიდენტს სიკვდილით დასჯის აღდგენა სურს



ფილიპინების პრეზიდენტმა როდრიგო დუტერტემ განაცხადა, რომ სიკვდილით დასჯის აღდგენას მხარს უჭერს.

დუტერტემ აღნიშნა, რომ უახლოეს ხანებში დამნაშავეობასთან ბრძოლა გამძაფრდება. გამორიცხული არაა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღებაც.

დუტერტე არაერთგზის აცხადებდა, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლა უნდა გამძაფრდეს. კერძოდ, ყველაზე საშიში ბოროტმოქმედნი ყოველგვარი სასამართლოს გარეშე უნდა ჩამოახრჩონ. ამის გამო საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები მას არაერთგზის აკრიტიკებდნენ.

# ისლამური სახელმწიფოს წევრები 19 მაისს თურქეთში ტერაქტებს გეგმავენ



ისლამური სახელმწიფოს წევრები 19 მაისს თურქეთში დაგეგმილ ახალგაზრდობისა და სპორტის დღესთან დაკავშირებით ტერაქტებს გეგმავენ.

თურქული გამოცემა „ჰურიეთი“ წერს, რომ აღნიშნული ინფორმაცია თურქულმა სპეცსამსახურებმა მოიპოვეს.

თურქეთის ეროვნულმა სადაზვერვო ორგანიზაციამ უკვე აცნობა ხელისუფლებას, რომ ქვეყნის საზღვარი ისლამური სახელმწიფოს ათმა მებრძოლმა გადაკვეთა.

ისინი 10 ტერორისტული აქტის განხორციელებას დედაქალაქ ანკარაში გეგმავენ.

პოტენციურ სამიზნეებად სახელდება ათათურქის სახელობის მუზეუმი და ანკარაში მდებარე აშშ-ის საელჩო.

# შტაინმაიერი: რუსეთი დიდი შვიდეულის რიგებში უნდა დაბრუნდეს!



გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაერმა განაცხადა, რომ რუსეთი დიდი შვიდეულის რიგებში უნდა დაბრუნდეს. ამავე დროს, მან აღნიშნა, რომ ეს მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, რაც რუსეთი მინსკის შეთანხმებებს შეასრულებს.

– დონბასის კონფლიქტი უნდა დასრულდეს, – თქვა შტაინმაიერმა.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღიარა, რომ ევროკავშირის შიგნით არსებობს სერიოზული უთანხმოებები რუსეთის მიმართ სანქციების გაგრძელების თაობაზე.

– მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვცდილობთ, ერთიანი ხაზი შევიმუშაოთ, – თქვა შტაინმაიერმა.

# ბელარუსის ოპოზიციამ ნაციონალური კონგრესი შექმნა

მინსკში, იანკა კუპალას სკვერში, ბელარუსის ნაციონალური კონგრესის პირველი სხდომა გაიმართა. იმის გამო, რომ ხელისუფლებამ შეკრებილთ შენობის გამოყოფაზე უარი



უთხრა, ისინი ღია ცის ქვეშ შეიკრიბნენ.

კონგრესის ლიდერები აცხადებენ, რომ მათი მიზანია ყველა ოპოზიციური ძალის გაერთიანება, ალექსანდრე ლუკაშენკოს პრორუსული დიქტატურის დამხობა, ბელარუსის რუსეთ-ბელარუსის კავშირიდან გასვლა.

– ჩვენ გვესმის, რომ ბრძოლა რთული და ხანგრძლივი იქნება, – ამბობს კონგრესის ერთ-ერთი ლიდერი, ბელარუსის პარლამენტის ყოფილი სპიკერი სტანისლავ შუშკევიჩი.

# გამარჯვებული ჯამალა კიევში დაბრუნდა



ევროვიზიის კონკურსში გამარჯვებული უკრაინელი მომღერალი ჯამალა კიევში დაბრუნდა.

ბორისპოლის აეროპორტში მას უამრავი ხალხი დახვდა. გაისმოდა სკანდირება:

– ჯამალა! ჯამალა!

ხალხი მომღერალს ხელს ართმევდა, კოცნიდა, ჩუქნიდა ყვავილებს. ჯამალას თვალზე ცრემლები მოადგა:

– დიდი მადლობა! დიდი მადლობა! თქვენს მხარდაჭერას იქ ყოველ წუთს ვგრძნობდი, ამიტომაც გავიმარჯვე, – თქვა მომღერალმა.

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ ჯამალას უკრაინის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭება. პარლამენტის სპიკერმა ანდრეი პარუბიიმ კი თქვა:

– თავისი გამარჯვებით ჯამალამ უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე ყველა უკრაინელმა პოლიტიკოსმა და დიპლომატმა!

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური

სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.



ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**

# ძიუდო: 2 ოქრო და 2 გაურკვევლობა ალმათის მასტერსიდან



ალმათის გრან პრიზე საქართველოს ნაკრებმა 2 ოქროსა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მედლები მხოლოდ ორ წონაში მოვიპოვეთ, თუმცა ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან კონკურენცია მხოლოდ 73 კილოგრამ და მძიმე წონით კატეგორიებშია, ლიდერები მხოლოდ აქ გვყავდა წაყვანილი. ყაზახეთში მოულოდნელი არაფერი მომხდარა — მთავარ კითხვას მეტნაკლებად გაეცა პასუხი.

73 კილოგრამ წონითი კატეგორიაში რიოში წასასვლელად ერთმანეთს ლაშა შავდათუაშვილი და ნუგზარ ტატალაშვილი ეჯიბრებიან. ალმათიში წინ შავდათუაშვილი აღმოჩნდა.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა ფინალის გზაზე ოთხი მეტოქე ჩამოიშორა, საჩემპიონო ბრძოლაში კი ჩეხ იარომირ ჟეზეკს სამწუთნახევარში მოუმთავრა საქმე.

ყაზახური გრან პრი ქართული ფინალით დაგვირგვინდებოდა, ჟეზეკს ნახევარფინალში ტატალაშვილი რომ არ დაემარცხებინა.

ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მძიმეწონოსანმა ადამ ოქრუაშვილმა საერთაშორისო ტურნირზე იმარჯვა. ყაზახეთის დედაქალაქში ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა 300 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბრძოლა ოქრუაშვილმა ნახევარფინალში მოიგო თანაგუნდელთან და უმთავრეს კონკურენტთან ლევან მატიაშვილთან.

ჭიდაობის ბედი შიდოებმა გადაწყვიტა — მატიაშვილს გაფრთხილებების ლიმიტი ვადაზე ადრე ამოეწურა.

ფინალში ოქრუაშვილმა აზერბაიჯანის ნაკრების წევრ უშანგი კოკაურს შეხვედრის დასაწყისშივე იუკო აუღო და უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.

რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო სეზონის დასრულებამდე ერთადერთი ტურნირი, მასტერსი დარჩა ჩასატარებელი, რომელსაც 27-29 მაისს მექსიკა უმასპინძლებს. შავდათუაშვილსა და ტატალაშვილს თავიანთ წონაში ოლიმპიადაზე მოსახვედრი ნორმატივი უკვე შესრულებული აქვთ, ისევე, როგორც ოქრუაშვილსა და მატიაშვილს, მაგრამ ბრაზილიაში წონიდან მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი უნდა გაემგზავროს.

ნაკრების სამწვრთნელო შტაბი საბოლოო გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, მექსიკის მასტერსის შემდეგ მიიღებს.

# ლელომ ტიტული შეინარჩუნა




**ლელო-სარასენსი – ლოკომოტივი**
**17:15**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

**ლელო-სარასენსი:** ყიასაშვილი, ჩიტიძე, თოდუა, ტალახაძე, ხეცოიძე, ხმალაძე, მინდიაშვილი; მაჭარაშვილი, ჭყოიძე, პატარაია, ჭეიშვილი, ქოიავა, კოპაძე, სურგულაძე, ბუბუტეიშვილი

მარქაფა: ლომთაძე, მარგალიტაძე, მჭედლიძე, ხორბალაძე, კვაჭაძე, ბარკალაია, ლომინაძე, მაისურაძე

**ლოკომოტივი:** ნიკოლავა, კალანდაძე, ძნელაძე, კავთიძე, შკინინი, წიკლაური, ხუციშვილი; ქვათაძე, გენებაშვილი, ბურდული, გეგია, მახარაძე, ფოფხაძე, ბერიშვილი, გასვიანი

**მარქაფა:** ელოშვილი, პაატაშვილი, გაგნიძე, მიქაძე, ტურაშვილი, დავითაშვილი, ბიწაძე, ქავთარაძე

დიდი 10-ის 2015-16 წლის სეზონი დაძაბული ფინალით დასრულდა, სადაც შარშანდელის მსგავსად, ლელო-სარასენსი და ლოკომოტივი შეებნენ.

ამჯერადაც ლელომ იმარჯვა, მაგრამ მსაჯის საფინალო სასტვენამდე ვინ გახდებოდა ჩემპიონი, არავინ იცოდა. ლელომ ზედიზედ მეოთხედ იჩემპიონა, ხოლო ლოკომოტივი ისევ ვერ შეწვდა მისთვის ნანატრ მე-10 ტიტულს.

მატჩში სწრაფი ლელო გავიდა: ბექა წიკლაურს ბურთის ამოტანისას დაუფარეს და ლელომ კარგი შეტევა მიიღო. მართალია, ლოკომოტიველებმა რამდენჯერმე არ შეუშვეს თავიანთ ჩათვლის მოედანში მეტოქე, მაგრამ ბოლოს გუჯა სურგულაძეს ვერაფერი მოუხერხეს და ანგარიშიც გაიხსნა — 5:0.

მე-20 წუთზე ლოკომოტივმა რაქიდან ბურთი ფლანგზე გაშალა, გიორგი შკინინმა დიმიტრი კალანდაძე მოძებნა, რომელიც ცრუმოძრაობის შემდეგ 3 მცველს შორის გაძვრა და ლელომდე ველარავინ შეაჩერა. წიკლაურმა გარდასახა და ლოკომოტივმა პირველი ტაიმი 7:5 მოიგო.

მეორე ტაიმი ლოკომოტივისთვის კვლავ ცუდად დაიწყო — მოედნიდან გივი ბერიშვილი გააძევეს. ლელომ რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა — ცენტრიდან ჯარიმა აუტში გადაიტანა, რომელიც კარგად გაითამაშეს და ირაკლი ყიასაშვილმა ლელო დადო — 10:7. ყიასაშვილს გარდასახვა ამჯერადაც გაუცუდდა.

მალევე ლოკომოტიველთა კაპიტანმა, წიკლაურმა ანგარიში ჯარიმით გაათანაბრა — 10:10.

ლოკომოტივმა ერთ მომენტში უპირატესობა მიიღო და მეტოქის ჩათვლის მოედანთან დიდხანს იტრიალა. რამდენიმე დარტყმის შემდეგ ლელომ ზეწოლას ვერ გაუძლო და ხვთისო ელოშვილი ვერავინ შეაჩერა. წიკლაურმა მახვილი კუთხიდან ვერ გარდასახა — 10:15.

72-ე წუთზე ლელომ გასატანი ჯარიმა მიიღო, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნებოდა ანგარიშის გასათანაბრებლად და ლელოზე ითამაშა. არც შემცდარა — სანდრო მინდიაშვილმა მცველი პასის ცრუმოძრაობაზე დაიჭირა, ხაზი გაჭრა და ლელოში შეცურდა. ამჯერად ყიასაშვილის გარდასახვა ზუსტი იყო — 17:15.

მატჩის გადასარჩენად ლოკომოტივს ცოტა დრო ჰქონდა, საჩემპიონოდ ერთი ჯარიმაც საკმარისი იყო, მაგრამ ლელო თავს კარგად იცავდა, შემდეგ ბურთიც იხელთა და ბოლომ მშვიდად ჩაათამაშა.

# სანდრო ბაზაძის ვერცხლის მედალი მსოფლიო თასზე



მადრიდში პლანეტის უძლიერესმა მოხმალავეებმა მოიყარეს თავი, სადაც მოფარიკავეთა პირად-გუნდური მსოფლიოს თასი გათამაშდა.

ისევ გაგვახარა ქართველმა „მუშკეტერმა“ სანდრო ბაზაძემ, რომელიც რამდენიმე დღის წინ ევროპის ჩემპიონი გახდა 23-წლამდე მოფარიკავეთა შორის. სანდრომ ამჯერად ვერცხლი ირგუნა, თუმცა გაცილებით მასშტაბურ ტურნირზე.

სანდრომ ჯგუფში ექვსივე შეხვედრა მოიგო: ზედიზედ დაამარცხა ამერიკელი გაბრიელ არმიჯო (5:3), ესპანელი ინაკი ბრავო (5:2), იაპონელი შოიჩი მორი (5:1), იტალიელი მასიმილიანო მურილო (5:1), პოლონელი მატეუშ გოდლევსკი (5:3) და გერმანელი რუვენ რედვანსი (5:0).

პლეი ოფის პირველ წრეში მსოფლიოს პრიზიორი ეგვიპტელი მუჰამერ ამერი 15:12 დაამარცხა, შემდეგ კი უმთავრესი სენსაცია გამოაცხო და 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონ იტალიელ ფრანჩესკო ბონსანტოს 15:8 მოუგო, მერვედფინალში კი არანაკლებ ტიტულოვანი, ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონატების თითო ოქრო-ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მფლობელი, ევროპის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი რუმინელი ტიბერიუ დოლნიჩეანუ 15:12 დაჯაბნა, მეოთხედფინალში არანაკლებ ტიტულოვან იტალიელ მოხმალავე დიეგო ოჩიუზს 15:7 მოუგო, ხოლო ნახევარფინალში მისივე თანამემამულე ლუკა კურატოლი დაძაბულ ბრძოლაში 15:14 დაამარცხა.

ფინალში ბაზაძის მეტოქე 2008 წლის ოლიმპიურ ჩემპიონთან, მსოფლიოს ჩემპიონატების სამივე სინჯის მედლის მფლობელ ფრანგ ვინსენტ ანსტეტთან მოუწია, რომელთანაც 9:15 დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

# ნინო ოძელაშვილი — პირველი ქართველი ქალი ევროპის ჩემპიონი სამბოში



პირველად ქართული სამბოს ისტორიაში ევროპის ჩემპიონი გოგონა გახდა — ნინო ოძელაშვილმა (72 კგ) პირველობა არავის დაუთმო. ასევე ჩემპიონის ტიტული ვახტანგ ჩიდრაშვილმა (57), ნიკო კუციამ (82) და ბექა ბერძენიშვილმა (მძიმე) მოიპოვეს.

სულ საქართველოს სამბოს ნაკრებმა ყაზანის ევროპის ჩემპიონატზე 12 მედალი მოიპოვა. 4 ოქროსთან ერთად, ქართველი სამბისტების ანგარიშზე ამდენივე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალია.

ვერცხლის მედლების მფლობელები მინდია ლილუაშვილი (68), პაატა ღვინიაშვილი (90), ირინა ლეონიძე (80) და ელენე ქებაძე (მძიმე) გახდნენ. ბრინჯაოს მედლები კი გივი ნადარეიშვილმა (52), დავით ლორიაშვილმა (100), სალომე აბაშიძემ (56) და თეონა სუხიტაშვილმა (68) მოიპოვეს.

# დუგლას პერეირა რონალდუს ჯობია




კრიშტიანუ რონალდუს სახელი ფეხბურთის გულშემატკივრებმა ნამდვილად კარგად იციან, აი, დუგლას პერეირა ვინ არის, ალბათ უმეტესმა ნაწილმა არ იცის.

არათუ ფეხბურთის, არამედ ბარსელონას გულშემატკივრების ნაწილმა, შესაძლოა, არც კი იცოდეს, რომ მათ საყვარელ გუნდში ირიცხება ფეხბურთელი, სახელად დუგლას პერეირა. 25 წლის ბრაზილიელი მარჯვენა მცველის სახელი მხოლოდ მაშინ გაიჟღერებს ხოლმე, როდესაც იწერება, რომ ის განაცხადში ვერ მოხვდა. თუმცა, დუგლასისთვის ამას საინტერესო მიღწევაში ხელი არ შეუშლია.

დუგლასი ბარსელონაში 2014 წელს გადავიდა. 2 სეზონის განმავლობაში, ლა ლიგაში, მან მოედანზე სულ რაღაც 115 წუთი დაჰყო, რაც ჯამში ერთ მატჩსა და 25 წუთს უდრის. თუმცა, ბრაზილიელმა ამ მცირე დროში ესპანეთის ჩემპიონატის 2-ჯერ მოგება მაინც მოახერხა. სულ კი, დუგლასს ბარსელონაში 7 თამაში აქვს ჩატარებული და მან 6 ტიტულის აღება მოახერხა.

რა შუაში იყო მისი და კრიშტიანუს სახელები ერთმანეთთან? მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ესპანეთის ჩემპიონატში 2009 წლის შემდეგ თამაშობს, 236 მატჩი ჩაატარა და 260 გოლი გაიტანა, მაგრამ მას პრიმერა დივიზიონი მაინც დუგლასზე ნაკლებად აქვს მოგებული.

# შედეგები

**15 მაისი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-ასტონ ვილა ..................... 4:0
ჩელსი-ლესტერი ............................. 1:1
ევერტონი-ნორვიჩი ......................... 3:0
ნიუკასლი-ტოტენჰემი ...................... 5:1
საუთჰემპტონი-კრ.პალასი ................ 4:1
სტოკი-ვესტ ჰემი ............................ 2:1
სუონსი-სიტი ................................. 1:1
უოტფორდი-სანდერლენდი ............... 2:2
ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 38 | 23 | 12 | 3 | 68:36 | 81 |
| 2.არსენალი | 38 | 20 | 11 | 7 | 65:36 | 71 |
| 3.ტოტენჰემი | 38 | 19 | 13 | 6 | 69:35 | 70 |
| 4.სიტი | 38 | 19 | 9 | 10 | 71:41 | 66 |
| 5.საუთჰემპტონი | 38 | 18 | 9 | 11 | 59:41 | 63 |
| 6.მანჩესტერი | 37 | 18 | 9 | 10 | 46:34 | 63 |
| 7.ვესტ ჰემი | 38 | 16 | 14 | 8 | 65:51 | 62 |
| 8.ლივერპული | 38 | 16 | 12 | 10 | 63:50 | 60 |
| 9.სტოკი | 38 | 14 | 9 | 15 | 41:55 | 51 |
| 10.ჩელსი | 38 | 12 | 14 | 12 | 59:53 | 50 |
| 11.ევერტონი | 38 | 11 | 14 | 13 | 59:55 | 47 |
| 12.სუონსი | 38 | 12 | 11 | 15 | 42:52 | 47 |
| 13.უოტფორდი | 38 | 12 | 9 | 17 | 40:50 | 45 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 38 | 10 | 13 | 15 | 34:48 | 43 |
| 15.კრ.პალასი | 38 | 11 | 9 | 18 | 39:51 | 42 |
| 16.ბორნმუთი | 37 | 11 | 9 | 17 | 44:64 | 42 |
| 17.სანდერლენდი | 38 | 9 | 12 | 17 | 48:62 | 39 |
| 18.ნიუკასლი | 38 | 9 | 10 | 19 | 44:65 | 37 |
| 19.ნორვიჩი | 38 | 9 | 7 | 22 | 39:67 | 34 |
| 20.ასტონ ვილა | 38 | 3 | 8 | 27 | 27:76 | 17 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალაგა-ლას პალმასი ........................ 4:1
ესპანიოლი-ეიბარი .......................... 4:2
ბეტისი-ხეტაფე ............................... 2:1
რაიო-ლევანტე ................................ 3:1
ხიხონი-ვილიარეალი ......................... 2:0

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 38 | 29 | 4 | 5 | 112:29 | 91 |
| 2.რეალი | 38 | 28 | 6 | 4 | 110:34 | 90 |
| 3.ატლეტიკო | 38 | 28 | 4 | 6 | 63:18 | 88 |
| 4.ვილიარეალი | 38 | 18 | 10 | 10 | 44:35 | 64 |
| 5.ბილბაო | 38 | 18 | 8 | 12 | 58:45 | 62 |
| 6.სელტა | 38 | 17 | 9 | 12 | 51:59 | 60 |
| 7.სევილია | 38 | 14 | 10 | 14 | 51:50 | 52 |
| 8.მალაგა | 38 | 12 | 12 | 14 | 38:35 | 48 |
| 9.სოსიედადი | 38 | 13 | 9 | 16 | 45:48 | 48 |
| 10.ბეტისი | 38 | 11 | 12 | 15 | 34:52 | 45 |
| 11.ლას პალმასი | 38 | 12 | 8 | 18 | 45:53 | 44 |
| 12.ვალენსია | 38 | 11 | 11 | 16 | 46:48 | 44 |
| 13.ესპანიოლი | 38 | 12 | 7 | 19 | 40:74 | 43 |
| 14.ეიბარი | 38 | 11 | 10 | 17 | 49:61 | 43 |
| 15.დეპორტივო | 38 | 8 | 18 | 12 | 45:61 | 42 |
| 16.გრანადა | 38 | 10 | 9 | 19 | 46:69 | 39 |
| 17.ხიხონი | 38 | 10 | 9 | 19 | 40:62 | 39 |
| 18.რაიო | 38 | 9 | 11 | 18 | 52:73 | 38 |
| 19.ხეტაფე | 38 | 9 | 9 | 20 | 37:67 | 36 |
| 20.ლევანტე | 38 | 8 | 8 | 22 | 37:70 | 32 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხიმნასტიკი-ლეგანესი ....................... 0:0
ალკორკონი-ალავესი ....................... 0:1
პონფერადინა-ლუგო ........................ 2:1
ელჩე-ხირონა ................................. 1:1
ბილბაო ბ-ოსასუნა ......................... 0:0
ლიაგოსტერა-კორდობა ..................... 1:0
უესკა-ალმერია ............................... 2:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-ფორტუნა .................... 0:2
ფიურტი-ზანდჰაუზენი ..................... 3:1
დუისბურგი-ლაიპციგი ...................... 1:0

***დუისბურგის გოლი გიორგი ჭანტურიამ გაიტანა***

კარლსრუე-არმინია .......................... 1:1
პადერბორნი-ნიურნბერგი ................. 0:1
ზ.პაული-კაიზერი ........................... 5:2
უნიონი-ფრაიბურგი ......................... 2:1
ფრანკფურტი-მიუნხენ 1860 ............. 2:1
ჰაიდენჰაიმი-ბოხუმი ....................... 2:4

**იტალია. სერია ა**

ჯენია-ატალანტა ............................. 1:2
კიევო-ბოლონია .............................. 0:0
ემპოლი-ტორინო ............................. 2:1
ლაციო-ფიორენტინა ........................ 2:4
პალერმო-ვერონა ............................ 3:2
უდინეზე-კარპი ............................... 1:2

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 38 | 29 | 4 | 5 | 75:20 | 91 |
| 2.ნაპოლი | 38 | 25 | 7 | 6 | 80:32 | 82 |
| 3.რომა | 38 | 23 | 11 | 4 | 83:41 | 80 |
| 4.ინტერი | 38 | 20 | 7 | 11 | 50:38 | 67 |
| 5.ფიორენტინა | 38 | 18 | 10 | 10 | 60:42 | 64 |
| 6.სასუოლო | 38 | 16 | 13 | 9 | 49:40 | 61 |
| 7.მილანი | 38 | 15 | 12 | 11 | 49:43 | 57 |
| 8.ლაციო | 38 | 15 | 9 | 14 | 52:52 | 54 |
| 9.კიევო | 38 | 13 | 11 | 14 | 43:45 | 50 |
| 10.ემპოლი | 38 | 12 | 10 | 16 | 40:49 | 46 |
| 11.ჯენოა | 38 | 13 | 7 | 18 | 45:48 | 46 |
| 12.ტორინო | 38 | 12 | 9 | 17 | 52:55 | 45 |
| 13.ატალანტა | 38 | 11 | 12 | 15 | 41:47 | 45 |
| 14.ბოლონია | 38 | 11 | 9 | 18 | 33:45 | 42 |
| 15.სამპდორია | 38 | 10 | 10 | 18 | 48:61 | 40 |
| 16.პალერმო | 38 | 10 | 9 | 19 | 38:65 | 39 |
| 17.უდინეზე | 38 | 10 | 9 | 19 | 35:60 | 39 |
| 18.კარპი | 38 | 9 | 11 | 18 | 37:57 | 38 |
| 19.ფროზინონე | 38 | 8 | 7 | 23 | 35:76 | 31 |
| 20.ვერონა | 38 | 5 | 13 | 20 | 34:63 | 28 |

**იტალია. სერია ბ**

კომო-სპეცია .................................... 4:0

**ჰოლანდია. ეიჰედივიზიონი**

**პლეი ოფი**

ერაკლესი-გრონინგენი ............. 5:1(დდ)
უტრეხტი-ზვოლე ............................ 5:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მორეირენშე-მარიტიმუ .................... 2:1
ბენფიკა-მადეირა ............................ 4:1
ბრაგა-სპორტინგი ............................ 0:4

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ანჟი-მორდოვია .............................. 3:0
კრილია-რუბინი ............................... 1:1
ზენიტი-ლოკომოტივი ....................... 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-როსი .............................. 0:4
სელტიკი-მოზერველი ....................... 7:0
ჰარტსი-სტ.ჯონსონი ........................ 2:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-რაპიდი .............................. 1:3
აუსტრია-შტურმი ............................ 3:0
მატერსბურგი-გროდიგი .................... 2:3
ალტახი-რიდი ................................. 0:0
ზალცბურგი-ვოლფსბერგერი .............. 1:0

**ბელგია. იუპილიგა**

ბრიუგე-ანდერლეხტი ....................... 4:0
ვარეგემი-გენტი .............................. 4:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

აკჰისარი-გალათასარაი ..................... 1:2
ბეშიქთაში-ოსმანლი ........................ 3:1
ქაშიმფაშა-მერსინი ......................... 7:0
ფენერბახჩე-გენჩლერი ...................... 2:1

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

კრაკოვია-გდანსკი .......................... 2:0
ლეგია-პოგონი ............................... 3:0
ლეხი-რუხი ................................... 3:0
პიასტი-ზაგლებიე ............................ 0:1

**უკრაინა. პრემიერ-ლიგა**

ვორსკლა-ოლექსანდრია ................... 0:1
დნიპრო-ოლიმპიკი ......................... 1:1
შახტარი-ზორია .............................. 2:3

**დანია. სუპერლიგა**

ოდენსე-ჰობრო ............................... 0:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ნორჩიოპინგი-სუნდსვალდი ............... 3:1
იორებრო-ელფსბორგი ...................... 1:0
ფალკენბერგი-ჰაკენი ....................... 1:4
ესტერსუნდი-გიოტებორგი ................ 2:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

მარიეჰამნი-ლახტი .......................... 3:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ქუსლიან ფეხსაცმელზე უარის თქმის გამო ქალმა სამსახური დაკარგა



ლონდონელ ქალბატონს, რომელიც აუდიტორული ფირმის მისაღებში მდივნად მუშაობდა, იმის გამო, რომ მან უარი თქვა, ეტარებინა მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, სამსახურის დატოვება მოსთხოვეს.

ნიკოლა ტორპის თქმით, მუშაობის დროს მას სუპერვაიზერმა უთხრა, რომ ის ვალდებული იყო ეტარებინა, ფეხსაცმელები, რომლის ქუსლის სიმაღლე მინიმუმ ხუთი სანტიმეტრი იქნებოდა. 27 წლის გოგონას აღშფოთებას, რომელმაც ამგვარ მოთხოვნას დისკრიმინაცია უწოდა, ვინაიდან კოლეგა მამაკაცებს უფლება ჰქონდათ, ბრტყელძირიანი ფეხსაცმელები ეტარებინათ, თანამშრომლები სიცილით შეხვდნენ.

ქალს ურჩიეს, რომ უახლოეს მაღაზიაში შეევლო და ახალი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები შეეძინა, მაგრამ მან ამაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ მას სამსახურის დატოვება მოსთხოვეს. მას ასევე არ მისცეს ანაზღაურება უკვე შესრულებული სამუშაოსთვის.

## გოგონამ ფეისბუქით თავისი გარყვნილი მასწავლებელი ამოიცნო

დიდ ბრიტანეთში გოგონამ პოლიციას განცხადებით მიმართა თავის ყოფილ მასწავლებელ გარი კოლდველთან დაკავშირებით. ეს მან მას შემდეგ გააკეთა, როდესაც ის შეეცადა, გოგონა ფეისბუქში მეგობრების სიაში დაემატებინა. მან მამაკაცში ამოიცნო მასწავლებელი, რომელიც მრავალი წლის წინ მის შეცდენას ცდილობდა.





გოგონამ გამოძიებას უამბო, რომ 16 წლის ასაკში ის მასწავლებლისგან გარყვნილი შინაარსის მქონე წერილებს იღებდა. მაშინ მან ეს ყოველივე არ გაამხილა და გაჩუმება ამჯობინა, მაგრამ, როდესაც ყოფილმა მასწავლებელმა მას მეგობრებში დამატების თხოვნა გაუგზავნა, გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ ეცნობებინა პოლიციისთვის.

შედეგად, კოლდველი სამსახურიდან გაათავისუფლეს და 21 თვით პატიმრობა მიუსაჯეს. ამასთან, ყოფილი პედაგოგის სახელი „შემაცდენელთა“ სიაში შეიტანეს.

## კანადელი ნავიგატორის წყალობით ტბაში აღმოჩნდა





კანადის პროვინცია ონტარიოს მცხოვრები საკუთარი მანქანით ტბაში იმის გამო აღმოჩნდა, რომ ჯპს-ნავიგატორის მითითებებს ენდო, რომელიც მის ავტომობილზე იყო დაყენებული. ეს შემთხვევა ღამით მოხდა.

ქალი, რომლის ვინაობა არ სახელდება, ცუდი ხილვადობის პირობებში საჭირო მოსახვევს გასცდა. როდესაც მიხვდა, რომ მისთვის უცნობ ადგილას იმყოფებოდა, ნავიგატორის მითითებებით განაგრძო სვლა და ჯორჯიან-ბეის ყურეში ტბა გურონში აღმოჩნდა. მძღოლმა თავისი ტოიოტა იარისის ფანჯრის გაღება მანამდე მოასწრო, სანამ მანქანა ჩაქრებოდა და ტბის ფსკერისკენ მიმავალი მანქანიდან თავი დააღწია.

ადგილობრივი პოლიციის ცნობით, ამ შემთხვევის დროს წყლის ტემპერატურა ცელსიუსით ხუთ გრადუსს არ აღემატებოდა. 23 წლის გოგონას ნაპირამდე მისაღწევად 30 მეტრის გაცურვა მოუხდა, შემდეგ კი ფეხით უახლოეს სასტუმრომდე მივიდა, საიდანაც სამაშველო სამსახური გამოიძახა. ამჟამად დაზარალებულის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

მოამზადა
კახა ხატიაშვილმა


წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი
50 ლარი 90-ის ნაცვლად

✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
✓ აკუმულატორი;
✓ მოჰყვება დამტენი;
✓ დატენვის ინდიკატორი;
✓ ბაკების გასასწორებელი;
✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;



შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!
50 ლარად
95 ლარის ნაცვლად





MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად

1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.



მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996


## ასტროპროგნოზი
### 17 მაისისთვის



**ვერძი** – აუცილებლად გჭირდებათ განმარტოება, განსაკუთრებით – შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლებს. კომფორტულად თავს მხოლოდ ბავშვებთან ურთიერთობისას იგრძნობთ. **კურო** – არ გადაიღალოთ. თქვენი ჯანმრთელობისათვის დღეს საჭიროა დასვენება მყუდრო გარემოში. წვრილმან უსიამოვნებებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ყველაფერი მალე გამოსწორდება. **ტყუპები** – წინააღმდეგობრივი დღეა. საქმიანი წინადადებები, მაცდუნებელი დაპირებები ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. მიენდეთ ინტუიციას. **კირჩხიბი** – შეხვდით მეგობრებს. დღეს თქვენს საუკეთესო თვისებებს მთელი სისრულით წარმოაჩენთ. ნებისმიერი საქმიანი წინადადება მხოლოდ გულმოდგინე ანალიზის შემდეგ მიიღეთ. **ლომი** – დაწყებული საქმე დაამთავრეთ. კეთილისმყოფელი დღეა. იაქტიურეთ და შედეგს სულ მალე მიიღებთ. რისკი გაამართლებს. ბავშვებთან ურთიერთობისას მეტი სითბო და ტაქტი გმართებთ. **ქალწული** – სიტუაციის მიხედვით იძულებული ხართ, სიმამაცე და სიმტკიცე გამოიჩინოთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **სასწორი** – კარგი დღეა ვაჭრობისა და ფინანსური ოპერაციებისათვის. ახალი ნაცნობობა სასარგებლო იქნება. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **ღრიანკალი** – გაერთეთ მაქსიმალურად. ყოველგვარი აქტიურობა მინიმუმამდე დაიყვანეთ. ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **მშვილდოსანი** – იზრუნეთ შეცდომების გამოსწორებაზე. დღეს განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ეცადეთ, შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ მათ, ვისაც ეს სჭირდება. **თხის რქა** – იმედი გიცრუვდებათ. მოულოდნელი ცვლილებების პერიოდი დგება. მიზნის მიღწევა ძალიან გაგიჭირდებათ. კომერციული ოპერაციები სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. **მერწყული** – მართალია, ყველაფერი უაზრობად გეჩვენებათ, მაგრამ ეს დეპრესია დროებითია. მალე თქვენს ცხოვრებაში ჰარმონიული პერიოდი დადგება. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **თევზები** – ბედი გწყალობთ. ფინანსური ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. თამამად იმოქმედეთ და საჭიროების შემთხვევაში მეგობრების იმედი გქონდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

სპორტი

## პისარო კარიერის დასრულებას არ აპირებს





ბრემენის ვერდერის უბერებელი პერუელი ფორვარდი კლაუდიო პისარო კარიერის დასრულებას არ აპირებს.

პისარო შემოდგომაზე 38 წლის გახდება, მაგრამ რამდენიმე დღის წინ მან ვერდერთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი.

მიუხედავად ასაკისა, კლაუდიო თავისი გუნდის საუკეთესო ბომბარდირია და წლევანდელ სეზონში მან 14 გოლის გატანა შეძლო.

პერუელი თავდამსხმელის თქმით, მან არ იცის, როდის დაასრულებს კარიერას. პისარო წლების მანძილზე მიუნხენის ბაიერნის ღირსებას იცავდა და ამ გუნდთან ერთად ბევრი ტიტული მოიგო. გარდა ამისა, პისაროს ბუნდესლიგაში 190 გოლზე მეტი აქვს გატანილი და ამ ტურნირის ყველა დროის ბომბარდირებში მეხუთე პოზიციას იკავებს.

## როი ჰოჯსონმა ინგლისის ნაკრების გაფართოებული სია დაასახელა

ევრო 2016 ახლოვდება და სულ მალე ნაკრებების მწვრთნელები ოფიციალურად დაასახელებენ იმ ფეხბურთელებს, ვინც ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

ინგლისის ნაკრების თავკაცმა



როი ჰოჯსონმა 26 კაციანი სია შეადგინა, რომლიდანაც 23 ფეხბურთელი ევროპის ჩემპიონატზე მოხდება.

აღსანიშნავია, რომ არსენალის ფორვარდი თეო უოლკოტი 26 ამ სიის მიღმა დარჩა. სამაგიეროდ, როი ჰოჯსონის არჩეულ ფეხბურთელებში მანჩესტერ იუნაიტედის ახალგაზრდა ფორვარდი მარკუს რეშფორდია, რომელიც რამდენიმე თვის წინ მანჩესტერის მეორე გუნდში თამაშობდა.

ევრო 2016 სტარტს 10 ივნისს აიღებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა


მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.


## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ამერიკელი გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 2. მეზღვაურთა მაუდის ქურთუკი; 3. რეგიონი კახეთში; 4. ისტორიული ქალაქი სირიაში; 5. იტალიელი საესტრადო მომღერალი მამაკაცი; 7. გამოძახილი ანუ... 11. სამონასტრო კომპლექსი ადიგენის რაიონში; 15. მზეზე მიმდინარე აფეთქების პროცესი; 16. ორგულობა, ვერაგობა, გამცემლობა; 17. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი; 18. უმთვარო, ბნელი ღამე; 20. მდინარე რომში; 22. ტოკიოს ძველი სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. ამერიკელი მულტიპლიკატორი; 8. პარიზის ძველი სახელწოდება; 9. არჩევითი, ხელმძღვანელი ორგანოს სხდომა; 10. სადილის ან ჩაის ჭურჭლის მთლიანი კომპლექტი; 12. დასაკეცი ჯიბის დანა; 13. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. დარტყმა კრივში; 19. სახელმწიფოს, ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ნუსხა; 21. კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; 23. ფულის ერთეული ირანში; 24. ცოცხალი ორგანიზმის აგებულების უმარტივესი ერთეული; 25. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 26. თეთრყურძნოვანი ვაზის პორტუგალიური ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ მადერას ტიპის მაღალხარისხოვან ღვინო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა





## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. ინდოსამენტი; 7. კომპასი; 8. კრიტიკა; 9. მელაძე; 13. ვიზა; 14. მარანი; 18. არკანზასი; 19. კოლტი; 21. მარტი; 22. რეალი; 23. ლანდსლაგი; 24. კვირიაკე.

**შვეულად:** 1. ენანთემა; 2. ასპინძა; 3. ეტაპი; 4. კონიაკი; 5. დაკრონი; 10. ვატიკანი; 11. ბაკქანალია; 12. ანორაკი; 15. ლანდშაფტი; 16. იქიდნე; 17. კომანდა; 20. დაფნა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. მის; 2. სიმენსი; 3. დონ; 4. ნიდაო; 5. ფორბსი; 6. ბუერა; 7. სპირიტიზმი; 8. რა; 9. აკა; 10. თუნუქი; 11. ელია; 12. ანონა; 13. ტეზაურუსი; 14. ბარამბო; 15. ნონა; 16. ტომაზო; 17. ბანზაი; 18. იდიია; 19. მუზა; 20. არისა; 21. ისინდი; 22. ტაუ; 23. როდენი; 24. ბურახი; 25. ხარაჩო; 26. რუბლი; 27. პონი; 28. კუპიდონი; 29. რე; 30. ნანო; 31. ოქრო; 32. ავინიონი.

**სურათებზე:** ორნელა მუტი; დუგლას მაიკონი.

# ხატია სიჭინავა საავადმყოფოში მოხვდა



ტელეწამყვანი ხატია სიჭინავა საავადმყოფოში მოხვდა. ამის მიზეზი ანაპილაქსიური შეტევა გახდა, რომელიც ალერგიულ ფონზე განუვითარდა. ინფორმაცია რამაზ ნოზაძის მეუღლემ თავად გაავრცელა:

— ცუდად ვიყავი, გადასხმები მომიწია და ნანო, რამაზ ნოზაძე რომ შემოვიდა პალატაში, გული ამიჩუყდა და ვიტირე. მივხვდი, რატომ ტირიან ჩემი შვილები ჩემს დანახვაზე. ჩემს განერვიულებულ სახეს რომ ხედავენ, გული უჩუყდებათ უზომო სიყვარულის ენერგიისგან... მერე ექთანმა მითხრა, როგორი სხვანაირი ყოფილხარო...

# კულტურის მინისტრი პრანკერებმა იმსხვერპლეს



საქართველოს კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე პრანკერებმა იმსხვერპლეს. მინისტრს პრანკერმა ვოვანმა უკრაინის კულტურის მინისტრის სახელით დაურეკა და ევროვიზიაზე მხარდაჭერა სთხოვა. უკრაინელი მინისტრის ევგენი ნიშჩუკის ხმით ვოვანმა მიხეილ გიორგაძეს ხმის მიცემისას დახმარებისკენ მოუწოდა.

ევროვიზიის საკითხებს რუსულ ტელეარხ ენ-ტე-ვეს თოქ-შოუში „ზვანოკ" (ზარი) იხილავდნენ. გადაცემის მთავარი თემა ევროვიზიაზე ხმის მიცემის საეჭვო პროცედურები იყო. ამ მიზნით პრანკერმა ვოვანმა ქართველი მინისტრი იმსხვერპლა.

# მედეა ჩახავა 95 წლის გახდებოდა



თეატრის და კინოს ვარსკვლავი მედეა ჩახავა 95 წლის გახდებოდა. რუსთაველის თეატრის მსახიობი 7 წლის წინ 88 წლის ასაკში გარდაიცვალა.

საქართველოს სახალხო არტისტმა თეატრალური უნივერსიტეტის დასრულებისთანავე მუშაობა დაიწყო რუსთაველის თეატრში და ცხოვრების ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. ჩახავა ლირიკულ-კომედიურ მსახიობად იყო მიჩნეული, მისი როლები დღემდე კარგად ახსოვს მაყურებელს. ერთდროულად მუშაობდა კინოსა და თეატრში და წარმატებით ქმნიდა ახალ პერსონაჟებს.

85 წლის მსახიობს რუსთაველის თეატრის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს. როგორც თავად ამბობდა, დატოვა დიდი განძი — შთამომავლობა, რომელიც მთლიანად ქართულ კულტურას ემსახურება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სოფო ნიჟარაძე: „ძალიან მაღიზიანებენ რუსეთის მონები!"



— ძალიან მაღიზიანებენ რუსეთის მონები! — ამ განცხადების ავტორი მომღერალი სოფო ნიჟარაძეა. ის და მაია დარსმელიძე მოსკოვში მცხოვრებ ქართველ ავტორ-შემსრულებელს გიგა კვენეტაძეს დაუპირისპირდნენ. მიზეზი ევროვიზიაზე უკრაინის გამარჯვება და რუსეთის მესამე ადგილზე გასვლა გახდა.

— დიახ, პოლიტიკური კონკურსია ევროვიზია და ევროპამ ხმა მისცა უკრაინას, ჯამალას, სიმღერით ყირიმზე... რუსეთს კი „კრიმ ნაშ" არა, იხვის ტოლმაო, უთხრა. ვულოცავ უკრაინას, — განაცხადა მაია დარსმელიძემ.

— ეს პოლიტიკოსებმა! და ევროპელმა ხალხმა რა უთხრა? პასუხი: კრიმი და სევასტოპოლი რუსეთია და დაანებეთ ერთი ადგილის თამაშს თავიო, — ასე გამოეხმაურა გიგა კვენეტაძე მაიას განცხადებას.

— როგორ შეიძლებოდა ახლა ეს გამარჯვება ასეთი ინტერპრეტაციით გაეგო ვინმეს! სრული მარაზმია! — გაღიზიანება ვერ დამალა სოფო ნიჟარაძემ.

— გიგა, შენ ბანძუშკა რუსეთზე ხომ არ დაგწყდა გული, თუ რა ხდება? — დაინტერესდა მაია დარსმელიძე.

— მაია, მე ვამბობ, რომ ვაფასებ შენს და თითოეული ადამიანის აზრზს, თუმცა ვფიქრობ, მეზობლის ლანძღვა-გინება კარგს არაფერს მიგვიტანს. ასევე მინდა დავამატო, შორეულ ნათესავს ახლო მეზობელი მირჩევნია და ასევე ჩვენი პატრიარქი თითოეულ მის გამოსვლაში მიგვიწოდებს, მივუტევოთ დამნაშავეს. ასე რომ, ვფიქრობ, ყველაფერი დროებითია და მთავარი, მე შენ გაფასებ, — უპასუხა კვენეტაძემ.

— მომიტევე, მაგრამ იგივე სადღეგრძელოთი ვერ გიპასუხებ. მე რადიკალურად სხვა აზრზე ვარ. რუსეთი არის ოკუპანტი და სანამ არ გააჯ... ჩემი ქვეყნიდან ვერაფრით ვერ მოვეფერები, — ასეთი იყო მაია დარსმელიძის პასუხი.

— ძალიან მაღიზიანებენ რუსეთის მონები! მართლა შეურაცხყოფა არც გამიფიქრებია, უბრალოდ, ყირიმსა და სევასტოპოლზე ადვილად რომ გამოთქვამ შენს აზრს, აფხაზეთსა და ოსეთზეც იგივეს ფიქრობ? გაყიდე „ასტუდიოს" სიმღერებზე პატრიოტიზმი თუ როგორაა საქმე? — აღნიშნა სოფო ნიჟარაძემ.

— აფხაზეთი და ოსეთი საქართველოა! თქვენ კიდევ ჩემი დები და ძმები, განსხვავებული აზრის მიუხედავად, ეს სერიოზულად! — განმარტა გიგა კვენეტაძემ.

# თამარ ლიჩელი ამერიკაში დააჯილდოვეს

ქართველი პიანისტი თამარ ლიჩელი ამერიკაში დააჯილდოვეს. პიანისტმა შტატებში ორკვირიანი საკონცერტო ტურნე გამართა და არკანზასის შტატის სხვადასხვა ქალაქებსა და ნიუ-იორკში შეკრებილი მსმენელისთვის დაუკრა. ბოლო კონცერტი კარნეგი



ჰოლში შედგა, სადაც თამარ ლიჩელს სპეციალური პრიზი, მსმენელის პრიზი გადაეცა.

— როგორც იტალიის საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის მფლობელს და ბოლო წლების მანძილზე უკვე ამ კონკურსის ჟიურის წევრს, მქონდა საკონცერტო ტურნე ამერიკაში. ორი კვირის მანძილზე ჩავატარე კონცერტები არკანზასის შტატის სხვადასხვა ქალაქებსა და ნიუ-იორკში. ბოლო კონცერტი დავუკარი კარნეგი ჰოლში, რომელიც დიდი წარმატებით ჩატარდა და სადაც მსმენელის პრიზი დავიმსახურე, — განაცხადა თამარ ლიჩელმა.

# ჯოან როულინგმა ნინა სუბლატი ვამპირს შეადარა



მსოფლიოში ცნობილმა მწერალმა ჯოან როულინგმა ქართველი მომღერალი ნინა სუბლატი ვამპირს შეადარა. „ჰარი პოტერის" ავტორი ევროვიზიის კონკურსზე უკრაინას გულშემატკივრობდა და თავისი პოზიცია ინტერნეტშიც საჯაროდ გამოხატა.

ინგლისელმა მწერალმა სოციალურ ქსელ ტვიტერში საქართველოც შეაქო მას შემდეგ, რაც ნინა სუბლატმა თბილისიდან ჩართვისას ქართული ხმის მიცემის შედეგები გამოაცხადა. საქართველომ უმაღლესი 12 ქულა უკრაინას დაუწერა.

ამ ინფორმაციის შემდეგ როულინგმა ტვიტერზე დაწერა:

— მომეწონა საქართველოს დამოკიდებულება. 12 ქულა უკრაინას, არც ერთი რუსეთს და თანაც, ამის გამოსაცხადებ-

# 16 წლის ხელოვანი საავტორო კონცერტს ჩაატარებს



კომპოზიტორი, მხატვარი და პოეტი ლიზი ბუდაღაშვილი საავტორო კონცერტს ჩაატარებს.

16 წლის მოზარდი თავის კონცერტს კომპოზიტორთა სახლში გამართავს. 17 მაისს ლიზის საავტორო მუსიკალური ნაწარმოებების კონცერტი შედგება, სადაც შესრულდება მისი ნაწარმოებები ფორტეპიანოსთვის, დუეტები ფორტეპიანოსა და ვიოლინოსთვის, ფორტეპიანოსა და ჩელოსთვის, ფორტეპიანოსა და ჰობოისთვის, სასიმღერო ნაწარმოებები. ავტორთან ერთად ნაწარმოებებს შეასრულებენ წარმატებული მუსიკოსები.

ლიზი ბუდაღაშვილი ნიჭიერთა ათწლედის მოსწავლეა და ის კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორის მაკა ვირსალაძის კლასში ირიცხება.

# ქეთა თოფურიას გზავნილი სერგეი ლაზარევს



წლევანდელ ევროვიზიაზე რუსეთის წარმომადგენელი მომღერალი სერგეი ლაზარევი იყო. ის შვედეთში ფილიპ კირკოროვთან ერთად ჩავიდა. მომღერალს მთელი რუსული ესტრადა ერთობლივად გულშემატკივრობდა, მათ შორის ა სტუდიოს ქართველი ვოკალისტი ქეთა თოფურია. რუსეთის წარმომადგენელმა კონკურსში გამარჯვება ვერ შეძლო და მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა, თუმცა ქეთა თოფურიასგან საჯარო შექება და მოწონება დაიმსახურა:

— სერგეი, სუპერ გამოსვლა გქონდა. ჟღერდი ისე, თითქოს ჩანაწერს ვუსმენდი. დადგმაც ძალიან მაღალი დონის იყო. გილოცავ! — განაცხადა ქეთამ ინსტაგრამში.

# სამგლოვიარო განცხადებები



ლამარა ახვლედიანი, ზაირა ნიკოლაიშვილი, ლარისა კიკნაძე, ციალა ნაჭყებია, ლიანა ახვლედიანი, დალი ჩხარტიშვილი იუწყებიან

**ზაირა ინასარიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.



აფხაზეთისა და გალის რაიონის ინტელიგენცია უდიდესი გულისტკივილით თანაგრძნობას უცხადებს ყველასათვის საყვარელ, კეთილშობილ პიროვნებას ნუგზარ სერგოს ძე ფიფიას საყვარელი მეუღლის

**მანანა გაბუნია-ფიფიას**

გარდაცვალების გამო.

ნოდარ ზარანდია, კოტე კვირტია, რაჟდენ ქარდავა



**თენგიზ სოტკილავას ნათელ ხსოვნას!**

თავზარდამცემია შენი ამქვეყნიდან უდროოდ წასვლა, ჩვენო თენგო! უდიდესი ტკივილი მოგვაყენე ყველას!

შენ იყავი უკეთილშობილესი, სიყვარულითა და იუმორით სავსე, ძველი ქართული, კოლხური ტრადიციების მატარებელი, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული, ზვიად გამსახურდიას იდეების ბოლომდე თაყვანისმცემელი. ოცნებობდი, შენს მშობლიურ კუთხეში — აფხაზეთში დაბრუნებაზე.

წარუშლელი იქნება შენთან გატარებული წლები, ჩვენო ძმაო!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ამაყი სული.

*ნინელი და რომულ ჯიქიები შვილებითა და შვილიშვილებით*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

სპორტი

# შერმადინი მოკრძალებულია, ბურჯანაძის გუნდმა საქმე გაირთულა

## საკალათბურთო დესანტის ამბები

მორაბანკ ანდორასთვის, რომლის ღირსებასაც გიორგი შერმადინი იცავს, ესპანეთის რეგულარული ჩემპიონატის ბოლო 2 ტურს აზრი დაკარგული აქვს. ანდორელები ვერც პლეი ოფში მოხვდნენ და არც ქვედა ლიგაში გავარდნა ემუქრებათ. შესაბამისად, შერმადინის გუნდს 2 უმოტივაციო მატჩის გამართვა უწევს, რომელთაგან ერთ-ერთი გასულ, 33-ე ტურში ითამაშა.

გიორგი შერმადინმა ბოლო 2 ტურში კარიერის საუკეთესო მატჩები ჩაატარა, მაგრამ გასულ ტურში, რიო ნატურასთან მხოლოდ 6 ქულა მოაგროვა. ანდორელებმა ცხრილში მათზე დაბლა მყოფ ნატურელებთან შინ 74:84 წააგეს.

შერმადინმა არასრული 21 წუთი ითამაშა და 6 ქულასთან ერთად გუნდში უმეტესი 9 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა, ბურთი კი 3-ჯერ დაკარგა. ქართველმა ცენტრმა 3-დან 2 ორქულიანი და 5-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

შერმადინის გუნდს 12 მოგება და 21 მარცხი აქვს, ცხრილში მე-12 ადგილზე იმყოფება და მიმდინარე სეზონის ბოლო მატჩს სტუმრად ვალენსიასთან გამართავს.

ესპანეთის მეორე ლიგის პლეი ოფის ფინალში გასვლის შანსი გაანიავა ბექა ბურჯანაძის ლეიმა ბასკეტ კორუნამ. უმაღლესი ლიგის საგზურისთვის მიმდინარე ბრძოლაში ბურჯანაძის გუნდმა ნახევარფინალურ სერიაში ლიდერობა (2:1) მოიპოვა და ფინალს 1 მოგებით მიუახლოვდა. ლეიმა ბასკეტი სერიის მე-4 მატჩს ლა კორუნიაში მასპინძლობდა და გამარჯვების შემთხვევაში ფინალში გადიოდა, თუმცა მეტოქე მელილამ, რომელმაც რეგულარული მეორე ადგილზე დაასრულა, 81:61 იმარჯვა და სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

ბურჯანაძე 15 ქულით ლაკორუნიელთა გუნდის ბომბარდირი გახდა. ქართველმა ფორვარდმა 9-დან 4 ორქულიანი, 6-დან 2 სამიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო. პარალელურად ბურჯანაძემ 5 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა, ბურთიც ერთხელ დაკარგა.

სერია გათანაბრდა — 2:2. გადამწყვეტ მატჩს მელილა დღეს უმასპინძლებს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# TV პროგრამა

**სამშაბათი 17 მაისი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "დღე მუზეუმში" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "ცხოვრება ციფრებში" **21.10** "**რიო – 2016**" **21.35** დ/ფ **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**აპოსტოლი**"

**08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "დანიელ ბურენი გრან პალეში" **13.00** დ/ფ "შტაინერების ოჯახი" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა **20.00** "მოამბე"(5 ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ცოდნა ფულია **23.20** გრიფით საიდუმლოო **00.00** ილო ბეროშვილის შოუ **01.00** მხ/ფ "**როცა ჰარი შეხვდა სალის**" **02.50** მხ/ფ "**ბრილიანტის ამბავი**" (ტიტ.) **04.30** სერ. "**კონტრაქტის პირობები**" 3-4 სერ.

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.00** კურიერი **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. - "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 3.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **23.40** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" **0.40** მხ/ფ "**ბორცვებსაც აქვთ თვალები**" **2.30** URBAN STORIES

**06.10** სპექტაკლი "**კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა**" **07.55** დიდ ხარ შენ უფალო !...ადამი და ევა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** საქართველოს ქალაქები-ბათუმი I **11.10** დიდ ხარ შენ უფალო !...10 მცნება **11.30** ერთი წვეთი **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მხ/ფ "**გიორგობის თვე**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "მაგნოლია" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** ტრაპეზი "ლობიო" **15.50** კონცერტი "ლაპრები" **16.30** მგზავრები წუთისოფლისა "რაჭა, ლეჩხუმის ეპარქია" **16.00** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **17.15** დიდ ხარ შენ უფალო !...სოდომი და გომორი **17.30** კვირიაკე სიუჟეტი-ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ. მხ/ფ "**კირილეს ოდისეა**" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** ჩვენი ფონდი **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30,** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები"**-33** (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05,** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 15.30, 1.00** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ფართოა მდინარე**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**უცხო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**17 მაისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.2068 | ევრო — 2.5038 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1804 | 100 რუსული რუბლი — 3.3744 |

## ამინდის პროგნოზი 17 მაისისთვის








**19 მაისიდან**

გრიგოლ რობაქიძე

**ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი**

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**



**17 მაისიდან**

**გი დე მოპასანი**

**ლამაზი მეგობარი**

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 3

**წიგნისა და გაზეთის ფასი 11 ლარი**







## კალეიდოსკოპი



### ამერიკელმა მეორედ მოიგო მილიონი დოლარი



ამერიკელმა ბრიუს მაგისტრომ 2012 წლიდან მოყოლებული 1 მილიონი დოლარი მეორედ მოიგო.

ოთხი წლის წინ ამერიკელმა მილიონი მომენტალურ ლატარიაში მოიგო. ამ თანხის უდიდესი ნაწილი მან თავისი მეუღლის მკურნალების ხარჯების დაფარვას მოახმარა. მისი მეუღლე 2014 წელს კიბოთი გარდაიცვალა.

გასულ კვირას მაგისტრომ მომენტალური ლატარიის 10 ბილეთი შეიძინა, რომელშიც 20 დოლარი გადაიხადა. ერთ-ერთმა მათგანმა კი მას მილიონი დოლარის მოგება მოუტანა.

გამარჯვებულის თქმით, ის ამ ფულს თავის სამ შვილს გაუნაწილებს. მან მომხდარს დაუჯერებელი უწოდა, მას ვერაფრით დაუჯერებია, რომ იღბალმა მეორედ გაუღიმა.

იღბლიანი მამაკაცის ერთ-ერთი შვილი მიიჩნევს, რომ მისმა გარდაცვლილმა დედამ ასეთი სახით გადაუხადა მადლობა მამამისს.

### ჯეიმს მაკევოი „უსირცხვილოთა“ ვარსკვლავს შორდება



მსახიობებმა ჯეიმს მაკევოიმ და ენმერი დაფმა გადაწყვიტეს ერთმანეთს დაშორდნენ. წყვილის ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ ისინი აპირებენ შეინარჩუნონ მეგობრული ურთიერთობა, სიყვარული და ერთმანეთის მიმართ პატივისცემა.

– ყველას გთხოვთ პატივი სცეთ ჩვენ პირად ცხოვრებას და რაც ყველაზე მთავარია, ჩვენი შვილის პირად ცხოვრებას, – ნათქვამია წყვილის ერთობლივ განცხადებაში.

ისინი 2006 წლის ოქტომბრიდან, თითქმის ათი წლის მანძილზე იყვნენ დაქორწინებულები. მათ ერთმანეთი სერიალ „უსირცხვილოთა“ გადაღებებზე გაიცნეს. 2010 წელს მათ შეეძინათ ბიჭი, რომელსაც ბრენდანი დაარქვეს.

### ჰაიდენ პანატიერი ისევ სტრესს ებრძვის



ჰოლივუდის მსახიობმა ჰაიდენ პანატიერმა გადაწყვიტა განმეორებით გაიაროს მშობიარობის შემდგომი სტრესის მკურნალობის კურსი. ამის თაობაზე უკრაინელი მოკრივის საცოლემ და შვილის დედამ, ტვიტერში საკუთარ აკაუნტში დაწერა.

26 წლის ვარსკვლავის თქმით, ფსიქიკურმა აშლილობამ მისი ცხოვრების ყოველ ასპექტზე მოახდინა ზეგავლენა. მან თაყვანისმცემლებს სთხოვა, რომ წარმატება უსურვონ.

2014 წლის დეკემბერში კლიჩკოსა და პანატიერის შეეძინათ გოგონა, რომელსაც კაია ევდოკია დაარქვეს. 2015 წლის ოქტომბერში მსახიობს პირველად დაუდგინეს მშობიარობის შემდგომი დეპრესია და ის საავადმყოფოში დაწვა სამკურნალოდ.

უკრაინელი მოკრივისა და ამერიკელი მსახიობის ურთიერთობა 2009 წელს დაიწყო. 2010 წელს ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, მაგრამ 2013 წელს ურთიერთობა განაახლეს და ნიშნობის თაობაზე განცხადებაც კი გააკეთეს, თუმცა ისინი დღემდე არ დაქორწინებულან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

●●●

ოფიცერი ჯარისკაცს ეკითხება:

– შენგან ერთ მეტრში „ლიმონკა“ რომ აფეთქდეს, როგორ მოიქცევი?

– ისე მოგექცა ოჯახი, მე რომ მევიქცევი...

●●●

ქართველები აფრიკაში დასეირნობენ. ერთ-ერთი ქართულ საჭმელებს ინატრებს. მოულოდნელად შენობას მიადგებიან, რომელსაც აწერია „მეგრული სამზარეულო“. ორივე შევა შიგნით და მენიუში კითხულობენ:

მეგრული კუპატი – აფრიკულად;

მეგრული ქაბაბი – აფრიკულად;

მეგრული რძე – აფრიკულად...

– ერთი მეგრული რძე უნდა გავსინჯო, – გადაულაპარაკა ერთმა მეორეს და ოფიციანტს რძე შეუკვეთა.

უცბად შუქი ჩაქრა და „სვეტამუზიკის“ ფონზე წელზევით შიშველი ზანგის ქალი გამოვიდა, კაცს კალთაში ჩაუჯდა და ჯიქანი პირში ჩაუდო. მეორე ქართველი სიცილით კვდება:

– კიდევ კარგი, მეგრული ქაბაბი არ მოითხოვე...

●●●

პოლიციელმა ქალი გააუპატიურა.

პოლიციელი გაუპატიურებისთვის გაასამართლეს.

ქალი – პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის.

●●●

კაცს ნაცნობი ეწვია სტუმრად, რითიც შეეძლო, გაუმასპინძლდა. სტუმარი გამოთვრა და სახლში წასვლას ვერ ხვდება. ბოლოს სიმღერა დაიწყო:

– ვაი, ველარ ვხედავ მზეს...

– ვერც ჭიშკარს? – იყვირა მასპინძელმა.

●●●

გვიან ღამით ქუჩაში მძარცველი გამვლელს მივარდა და ეუბნება:

– მომეცი ფული, თორემ მოგკლავ!

– ფრთხილად, შენ არც კი იცი, ვის ესაუბრები!

– ვის?

– მე გავლენიანი პოლიტიკოსი ვარ!

– პოლიტიკოსიიი? მაშინ დამიბრუნე მთელი ჩემი ფული, თორემ მართლა მიგასიკვდილებ!!!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ძმაო, სიდედრი მყავს, ცეცხლია, ცეცხლი!

– ჩემი უფრო ნაკვერჩხალს ჰგავს, რომ შეაფურთხებ, შიშინს იწყებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბარსელონა ლას პალმასის მცველით დაინტერესდა



ბარსელონას მორიგი სატრანსფერო სამიზნე ლას პალმასის ურუგვაელი მცველი მაურისიო ლემოსია, რომელშიც კატალონიური გუნდი 4 მილიონ ევროს ჩამოდის. ლემოსი 23 წლის არის და თავის დროზე ის პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ მან ჯერჯერობით თავისი პოტენციალი ვერ გამოიყენა.

ლემოსი ცოტა ხანი ყაზანის რუბინის შემადგენლობაშიც გამოდიოდა, თუმცა იქ ადგილის დამკვიდრება ვერ შეძლო.

ლას პალმასს 4 მილიონი არ აკმაყოფილებს და გაცილებით სოლიდურ თანხას ითხოვს. ბარსელონა მეტის გადახდას არ აპირებს, ამიტომ შეიძლება ეს ტრანსფერი არ განხორციელდეს.

ლემოსი ლას პალმასში 2015 წლიდან თამაშობს.

## მანჩესტერ სიტი დანიელ კარვახალის ყიდვას შეეცდება



როგორც ინგლისურ პრესაში წერენ, მანჩესტერ სიტის ახალი მთავარი მწვრთნელი ხოსეპ გვარდიოლა უკვე ამზადებს თავისი გუნდისთვის ახალ ტრანსფერებს. გვარდიოლას ერთ-ერთი სამიზნე მადრიდის რეალის მარჯვენა მცველი დანიელ კარვახალია, რომელიც ბოლო წლებში რეალის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია.

ჯერჯერობით სიტის რეალისთვის ოფიციალური წინადადება არ გაუკეთებია, მაგრამ გაჩნდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც მანჩესტერელები მზად არიან ამ ტრანსფერში 57 მილიონი ევრო გადაიხადონ.

კარვახალი მადრიდის რეალის აღზრდილია, თუმცა მან ერთი სეზონი ლევერკუზენის ბაიერში გაატარა.

კარვახალი თავის მშობლიურ გუნდში 2013 წელს დაბრუნდა.

## ნიკოლოზ ბასილაშვილმა გერმანიაში ჩელენჯერი მოიგო




ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა გერმანიაში ჰაილბრონში ჩელენჯერის ტიპის ტურნირი მოიგო. ნიკასთვის ეს დიდი წარმატებაა, რადგან მან 100 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა და რეიტინგში 15 პოზიციით წაიწია წინ.

ბასილაშვილი ამჟამად რეიტინგში 105-ე პოზიციას იკავებს.

ქართველი ჩოგბურთელისთვის ეს გამარჯვება კიდევ იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ერთ კვირაში საფრანგეთის ღია პირველობა, ანუ როლან გაროსი იწყება.

შარშან ნიკამ უიმბლდონზე 2 თამაშის მოგება შეძლო, თუმცა მეტის გაკეთება ველარ მოახერხა. რაც შეეხება როლან გაროსს, ბასილაშვილმა 2015 წელს პირველივე წრეში ტანასი კოკინაკისთან წააგო ოთხ სეტში, ანგარიშით 6:3, 4:6, 6:7, 2:6.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და დამუშავების ადგილი; 2. ალგებრული ორწევრი; 3. სუფრული სიმღერა იტალიურ ოპერაში; 4. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. ტვირთის უწყვეტად გადამტანი მოწყობილობა საწარმოში; 8. ლეჩხუმის ძველი სახელწოდება ბიზანტიური წყაროების მიხედვით; 12. უწვრილესი სისხლძარღვი; 14. ხევსურული ტანსაცმელი; 16. ბერძნული მითოლოგიის გმირი, ზევსის შვილი; 17. ბარსელონას ძველი სახელწოდება; 19. სლოვენიელი სამთო-მოთხილამურე ქალი, მსოფლიო ოლიმპიური ჩემპიონი; 20. ქართული ფოლკლორული ანსამბლი.

**თარაზულად:** 5. მდგომარეობა ჭადრაკში; 6. ქართველი პიანისტი ქალი; 9. ტყის ვაშლი; 10. ისრაელის დაზვერვა; 11. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 13. ქვებზე, ხეებზე მზარდი უფესვო, სპოროვანი მცენარე; 15. ქართველი მგოსანი; 18. სერბი ფიზიკოსი, გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 21. უმაღლესი სასულიერო წოდება კათოლიკურ ეკლესიაში; 22. უცნაური, სასაცილო შემთხვევა; 23. ქართველი მეფე, საგალობელ „შენ ხარ ვენახის“ ავტორი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

